№ 119 სახალხო გაზეთი № 119

ოთხშაბათი, 29 სექტემბერი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწ. პირველი

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე ყოველჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

**** **ხელის-მომწერთა საყურადღებოდ** ****

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევს 5 საათიდან 7 საათამდე.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

26 ენკენისთვეს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ივანე მერაბის ძე დავლიანიძე

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ მეუღლე მისი **ანასტასია კაციას ასული** და შვილი **პეტრე ივანეს ძე**. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, ავჭალის ქუჩა **№ 1**. გამოსვენება ხუთშაბათს, 30 ენკენისთვეს, კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში, დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე, კუკიაში. (2—2)

საზოგადოების წევრთა და განსაკუთრებით კახელ მევენახეთა

საყურადღებოდ

ამით აცხადებს, რომ **„კახეთის“** საზოგადოების საქმეების გაუკეთესების გამო მას საშუალება აქვს კახურ ღვინის მთელი მოსავალი მომხმარებლებზე გაასაღოს შუამდგომელთა დაუხმარებლივ.

საზოგადოების წესდების მე-§ § 4 და თანახმად, მიღებულ ღვინოში პატრონს მიეცემა პირველად ღირებულობის მესამედი, შემდეგაც ორი-მესამედი ორჯერობაზე დაუბრკოლებლად საოპერაციო წლის განმავლობაში. გამგეობა იმედოვნებს, რომ ღვინის მწარმოებელნი აიცილებენ ჩარჩ-მოვაჭრეებს თავიანთ და სასარგებლოდ და საერთო საქმის გასაძლიერებლად. (10—65—10)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოკზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
ა. პოპოვი—ყელ., ყურ., ცხვირ და ყოველ დღე 12—1 ს.
ტერ-ნიკოღოსოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½—12½ საათ.
ი. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ — ნ. — 449)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოვებულია და სტაციონარული განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.
განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლება № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან.
ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება, დღეც და ღამეც.
საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.
გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.
გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.
კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და საბ. 10—12 ს.
ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.
მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 12—2 ნახ. ს.
მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
პაპოვი გ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე 2—2-ნახ. ს.
ხოხოლევსკი ბ. გ. ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. სათასოთ. (200 — ნ. — 288)

ხონის საურთიერთო კრედიტის
საზოგადოების მეორე საგანგებო

კრება

დანიშნულია ამა წლის 10 ოქტომბერს, დღით კვირას, დილის 11 საათზე, ხონის სავაჟო პროგიმნაზიის შენობაში.

საგნები კრებისა:

მოხსენება პირველ საგანგებო კრებაზე არჩეულ კომისიისა ახალ ბინაზე გადასვლის თაობაზე. (2—97—2)

პროვინციაში გაზეთების გამგზავნი

ბიურო

პირველ სექტემბრიდან შესდგა გაზეთების საგანგებო ბიურო, რომელშიაც შედიან გაზეთები: „სახალხო გაზეთი“, „საქმე“, „ზაკავკაზია“, „ნოვაია რეჩი“ და ჟურნალები „მათრახი და სალამური“, „ერი“ და „თეატრი და ცხოვრება“. ბიუროს მიზანია პროვინციაში ჟურნალ-გაზეთების გავრცელება. აგენტებს **მხოლოდ** ამ ბიუროსაგან შეუძლიანთ დაკვეთა ჟურნალ-გაზეთებისა. ბიუროს გამგეთ არჩეულია ერასტი დავითის ძე გორდელაძე, რომლის სახელზედაც უნდა იგზავნებოდეს, როგორც წერილები, აგრეთვე ფული შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Эриванская площадь д. Гургенова, общiй входъ съ нотарiусомъ Мгебровымъ. Эрастiю Давидовичу Горделадзе.

საჭიროა აგენტი

პროვინციაში გაზეთების გამავრცელებელ ბიუროსათვის **ძლიერ საჩქაროდ**. საჭიროა გაზეთების გამყიდველი აგენტი შემდეგ ადგილებში: ჩოხატაურში, ხონში, ზუგდიდში, ახალ-სენაკში, ელისავეტპოლში (განჯა), და ყარსში. წინ და წინ საჭიროა ორი კვირის გაზეთების საფასური ფული. მიმართვა და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ Эриванская площадь, д. Гургенова, общiй входъ съ нотарiусомъ Мгебровымъ, Эрасту Давидовичу Горделадзе.

ტელეფონი № 862. ქართული თეატრი **წარმოდგენა № 3.**

პარასკევს, 1 ოქტომბერს, 1910 წელს,
ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა მიერ წარმოდგენილი იქნება

სიმახინჯე

დრამა 4 მოქ. ნ. შიუკაშვილისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ვიქტორელი მ., ლოლუა ა., ქილარჯიშვილი მ., შოთაძე ა., ჯავახიშვილი ნ. ბ-ნნი: გვარამძე ნ., ზარდალიშვილი ი., მდივანი ბ., მატარაძე ვ., მგალობლიშვილი დ., მამფორია ი., მალიკაშვილი ვ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოებისა. რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.**

ადგილების ფასი: გალერეა 20—80 კ. მდე, პარტერი 50 კ.—3 მ., ლოჟები 5 მ.—10 მ. კუპონები ლოჟებში შეგირდებისთვის 50 კ.

დამსწრეთა საყურადღებოდ: თეატრის ადმინისტრაცია ამით ყველას აუწყებს, რომ მოქმედების დაწყების შემდეგ სათეატრო დარბაზში არავის არ შეუშვებს, ამიტომ მესამე ზარის შემდეგ ყველანი თავ-თავის ადგილზე უნდა ისხდნენ.

მზადდება წარმოსადგენად: „სატანა“, გორდინისა, „მზის ამოსვლამდის“, ჰაუპტმანისა; „ორი ვნება“, ბატაილისა; „ქალის ჭკუა“, მისს გობბსისა და სხ.

სახალხო სახლი ძმ. ზუბალაშვილებისა

ხუთშაბათს 30 სექტემბერს 1910 წელს სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი წრის მიერ **ქ-ნ ა. ჩირგაძის მონაწილეობით** წარმოდგენილი იქნება:

ღალატი

დრ. 5 მოქმ. სუმბათაშვილისა, თარგ. გ. ყიფშიძისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი დეკანოზიშვილისა, ნებიერიძე, ჩიჩგაძე, ანკარა; ბ-ნნი ა. ბადრიძე, გამყრელიძე, ნ. გოცირიძე, ი. ზურაბიშვილი, მ. ინაშვილი, ა. მეტრეველი, ა. ნარი, ს. პეპანოვი, ხახანაშვილი, მარამუკე და სხვანი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ბილეთები გაიყიდება თეატრის კასაში დღითი 12—2-დე და საღ. 6—8 ს-მდე.

მორიგი წევრი: ს. თავდიშვილი. რეჟისორი: ა. შათირიშვილი.

თეატრის ადმინისტრაცია სთხოვს საზოგადოებას თვით შეეწყოს ხელი წესიერების დაცვაში. სხვის ალაგებზე ნუ დასხდებიან, ბავშვების თეატრში შეყვანა სრულებით აკრძალულია. ფარდის ახდის შემდეგ თეატრის დარბაზში არავის შეუშვებენ. (2—უ.—1)

ქართული წიგნების გამომცემელი

მიხეილ ნემსაძე

დრო-გამოშვებითა და პატარ-პატარა ტომებად გამოსცემს

ა. შანშიაშვილის

● თხზულებათ. ●

გამოცემა იქნება მშვენიერ ქაღალდზე და სუფთად დაბეჭდილი. ამის შემდეგ გამოსცემს სხვა მწერალთა ნაწარმოებთაც. პირველი გამოვა ოქტომბრის პირველ რიცხვებში. (5—უ.—4)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე
ხარაპ—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.
თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.
პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.
იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.
ბოტოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.
მონზე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 საათ.
ცნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.
ნოვიცკი—ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.
ვესელოვზოროვი ნ. ნ. ქირურგ. ავად. ყოვ. დღ. 2—3 საათ.
ხატისოვი ნ. დ.—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.
მიკირტუმოვი დილის 10½—11½ ს. ყოველ-დღე.
ჩუდნოვსკი ი. ნერვ. სულ. ელექტროტერაპია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4—5 საათ.
ფონდოევი—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 11—12ს. დილ.
ა. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის მეთოდით. (100—ნ.—100)

ექიმი ვ. ნ. მამაკიანი შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ხალ.—39)

წიგნების

იაფად გაყიდვა

15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე დანიშნულია დაკლებულ ფასად წიგნების გაყიდვა:

1. სურამის ციხე“, მეხუთე ახალი გამოცემა მშვენიერად 100 ც. . 10 მ.
2. არსენას ლექსი, ფერადი სურათებით 100 ც. . . . . 1 20 კ.
3. „ვეფხის ტყაოსანი“, მეოცე ახალი და სურათებიანი გამოცემა 100 ც. . . . 30 „
4. „დონკიხოტი“, დასურათებული მშვენიერს ყდაში . . . 1 „
5. დიდი „ვეფხვის ტყაოსანი“, კარგს ქაღალდზე ფერადი წამლებით დაბეჭ. მშვენ. ყდით 1 „ 50 „
6. ა. ყაზბეგის სრული თხზულება, ბიოგრაფიით, სურათ. და მშვენიერს ძვირფას ყდაში . 3 „ 50 „
7. ე. ნინოშვილის სრული თხზ. მშვენიერს ყდაში . . . . 1 „ 50 „
8. „ღალატი“, მრავალი სურათ. და ავტორ. სურათ მშვ. ყდაში 80 „
9. სამზარეულო, სრული მშვ. ყდ 1 „ 50 „
10. ქვეყნისთვის და მეცნიერებისთვის თავდადებულნი და ტანჯულნი, მრავალ სურათებით და კარგ ყდით . . . . . 1 „
11. აქსენტი ცაგარლის თხზ. I და II ტ. . . . . . . 80 „
12. „საქართველოს გეოგრაფია“, ვახუშტისა, სურ. და საქარ. ქარტებით, მშვენიერს ყდით . 1 „
13. „გლეხი-კაცის ისტორია“, ერკმან-შატრიანისა, მშვ. ყდით 1 „ 60 „
14. „გლეხი კაცი“, გერმანულიდან ი. პოლუპორდვინოვის თარ. 60 „

და სხვა მრავალი წიგნები. ვისაც უნდა ბიბლიოთეკა - სამკითხველოებისთვისაც გახსნულოთ ძლიერ იაფად შეუკრებთ მთელი ქართული წიგნები.
ადრესი: ტფილისი, მიხაილოვის ქ. N 3. გ. თავართქილაძეს. (6—6—5)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფ. ლიკირპიჩნაია). (0—224)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს 5½—6½ საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა (უ)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე გადავიდა იზმაილოვის ქუჩაზე N 2. იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე, და საღამოს 5—8 საათამდე.

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოროღანოვის ქ. 20. (0—ნ.—53)

ქ. შ. წ.-კით. ს. მაღაზიაში იყიდება ახალი წიგნი

ეპისკოპოსის კირიონისა
„კულტურული გავლენა ივერიისა რუსეთის ისტორიაზე“

ფასი 3 მან. (10—64—8)

ვასწავლი
● ხალხურ სიმღერებს ●
და ვამზადებ ქართულ გუნდს.
ორშაბათობით და ოთხშაბათობით საღ. 4—6 ს.
ავჭალის მოედანი, N 13, ნემეცების სასაფლაოს გვერდით. (5—უ.—3)

რევოლუცია პორტუგალიაში

(დეპეშებიდან)

ბარცელონა. გუშინ 3000 კაცი გავიდა სასაფლაოზე, ფერერის სამარეზე გვირგვინის დასადებად. არეულობა მოხდა. პოლიციამ ხალხი გაფანტა.

გიბრალტარი. აქ მოვიდა იტალიის ჯავშნოსანი გემი „რეჯინა ელენა“ და მოიყვანა დედოფალი მარია-პია და ჰერცოგი ოპორტო. მეფე მანუელი და დედოფალი ამალია ინგლისში აპირებენ გამგზავრებას.

რომი. „კორიერე-დ-იტალია“ იუწყება, რომ რომის პაპს ოფიციალურათ არაფერი შეუტყვია პორტუგალიაში რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ.

ლონდონი. ორლეანის ჰერცოგმა განუცხადა ერთს კორესპონდენტს, რომ არაფერი შემიტყვია, რომ ვითომც მეფე მანუელი და დედოფალი ამალია ვუნცენორტონში მოსულიყვნენ; საეჭვოა, რომ აქ მოვიდნენო.

რეიტერის სააგენტოს ატყობინებენ, რომ ლისაბონში მომხდარი ამბები სახელმწიფოთა შორის სხვადასხვა აზრს არ იწვევს; მოსალოდნელია, რომ ყველა სახელმწიფონი მიიჩნევენ ხალხის ნდობაზე დამყარებულ მთავრობას. ჯერ-ჯერობით კი სახელმწიფოებს არა ოფიციალური მიწერ-მოწერა ექნებათ ლისაბონის მთავრობასთან. ტყუილია, ვითომც ინგლისის ელჩს რაიმე განსაკუთრებული მოლაპარაკება ჰქონდეს ლისაბონთან; ინგლისის მთავრობას არავითარი განკერძოებული ინტერესები არა აქვსო.

რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს გამგეობამ უკვე მიიღო პორტუგალიის რესპუბლიკის პრეზიდენტის თეოფილესაგან შემდეგი დეპეშა ფრანგულს ენაზე:

„ხალხმა და ჯარმა მონარქიული დაწესებულებანი დაამხეს გამოაცხადეს რესპუბლიკა, რომელიც შეეფერება მათს დიდის ხნის მისწრაფებას. ალტაცება აღუწერელია. დროებითი მთავრობა დამყარებულია (ჩამოთვლილია მის წევრთა გვარები, რომელიც ჩვენ უკვე მოყვანილი გვქონდა). საზოგადოებრივი წესიერება ფრიად უზრუნველყოფილია მთავრობის მოქმედებითა და მოქალაქეთა სოლიდარობით. ყოველ წამს მოდის ცნობები პროვინციებიდან, რომ რესპუბლიკის გამოცხადებას დიდის ალტაცებით შეეგებნენ.

პრეზიდენტი რესპუბლიკისა—თეოფილ ბრაგა, გარეშე საქმეთა მინისტრომა მადო“.

მართლაც ლისაბონის მცხოვრებნი ალტაცებით შეეგებნენ რესპუბლიკის გამოცხადებას. ქალაქი გამშვენებულია რესპუბლიკურ ბაირაღებით; მუსიკის ორკესტრნი ცრიალებენ. მოძრაობის მეთაურთ ეგებებიან ოვაციებითა და რესპუბლიკურ ჰიმნის სიმღერებით. პროვინციებიდან მოდის აუარებელი მილოცვა და ფიცი რესპუბლიკისადმი ერთგულობაზე.

დროებითმა მთავრობამ გამოსცა მანიფესტი ხალხისა, ჯარისა და ფლოტის მიმართ. მოგვყავს ერთი ადგილი.

„პორტუგალიის ხალხმა, ჯარმა და ფლოტმა რესპუბლიკა გამოაცხადა. ბრაგანცის დინასტია, ეს ბოროტი დამღუპველი ქვეყნის მშვიდობიანობისა და აღყვავებისა, გამორიცხულია ამიერიდან პორტუგალიის ცხოვრებიდან. პორტუგალია იწყებს თავის არსებობის ახალ ხანას“.

მანიფესტი მოუწოდებს მოქალაქეთ პატრიოტიზმსა და ანდობს მათ წესიერებისა და საკუთრების დაცვას; წინადადებას აძლევს მეფის მომხრე ჯარებს—იარაღი დაჰყარონ. ლისაბონის ქალაქის მოურავმაც ასეთის მოწოდებით მიმართა მოქალაქეთ.

პორტუგალელ ფრანგ-მასონების მეთაური, გამოჩენილი მებრძოლი რესპუბლიკისათვის, მაგაელას ლიმასი, რომლის აზრი გუშინ გვქონდა მოყვანილი, ემიგრანტად სცხოვრობდა პარიზში და ახლა დროებითი მთავრობის დელეგატობას ასრულებს; მას აპირებენ პორტუგალიის ელჩად დანიშვნას პარიზში.

ოპორტო, მეორე ქალაქი პორტუგალიისა, უმნიშვნელო ბრძოლის შემდეგ, დანებდა რევოლიუციონერთ, ჯარის კაცებმა იარაღი რევოლიუციონერთ გადასცეს. ბრბომ მეფის ორი სასახლე დაანგრია.

როგორც ხმა დადის, მეფე და მისი სახლობა შეაპყრეს ზღვაზე და ლისაბონში დააბრუნეს. მეფეს ჰმართებს 37 მილიონი ფრანკი სახელმწიფოსი.

რევოლიუციის დროს, როგორც სჩანს, ბევრი სისხლი დაღვრილა. მოუკლავთ და დაუჭრიათ ათასობით. ცხარე ბრძოლა ქუჩებში მთელი დღე-ღამე გაგრძელდა თურმე. მარტო სასახლის დაპყრობისთვის 12 საათი იბრძოდნენ. სასახლის უფროსმა გენერალმა გარასმა ტყვიისმტყორცნელებით საშინელი ცეცხლი დაუშინა რევოლიუციონერებს.

რევოლუციონერთ, მძიმე ზიანის მიუხედავად, განაგრძეს სასახლეზე იერიში. მათ მოახერხეს ნაღმით აფეთქება სასახლის კარებისა და შიგ შეცვივნა. დამცველმა გვარდიელებმა იწყეს თავის დანებება. გენერალმა გარასმა თავი მოიკლა. რესპუბლიკელებმა იარაღი აჰყარეს სასახლის დამცველთ, დაეუფლნენ სხვა იარაღთაც, დაატყვევეს მონარქისტ-ოფიცრები, ჩააყენეს სასახლეში საიმედო ჯარები. სასახლის სიმდიდრე ხელუხლებელია. რესპუბლიკელები ჩინებულს დისციპლინას იჩენდნენ. სასახლის დაპყრობამ დააგვირგვინა გამარჯვება. კავალერია და არტილერია, რომელნიც მეფის ერთგულნი დარჩნენ, თან და თან ხალხის აგიტაციის გავლენით გადადიოდნენ რესპუბლიკელთა მხარეს და ჰკლავდნენ მეფის ერთგულ აფიცრებს.

ლისაბონის ქუჩაზე ჯგუფ ჯგუფათ დადიან რესპუბლიკურ ბაირაღით და მღერიან პორტუგალიურს მარსილიეზას, რომელიც ეხლა ეროვნულ ჰიმნადაა გამოცხადებული.

მეფის საყვარელი მომღერალი დელისის ქალი უარჰყოფს, ვითომც იგი მეფის სასახლეში სცხოვრობდა და მეფესთან ფარულს დაქორწინებას აპირებდა. იგი მხოლოდ მცირედ საჩუქრებს იღებდა მეფისაგან. ქ-ნ დელისს ერთმა პარიზელმა იმპრეტარიომ შეაძლია 100.000 ფრანკი ჰონორარად ერთის თვის გასტროლისათვის ლისაბონში. დელისის ქალმა უარი განაცხადა.

დროებითი მთავრობის წევრნი.

რესპუბლიკის პრეზიდენტად გამოცხადებული თეოფილ ბრაგა ძველი პროფესორია, დიდად პატივცემული საზოგადოების ყველა წრეში, განსაკუთრებით ახალგაზდობაში. იგი სახელმწიფო უფლების მცოდნე და ისტორიკოსია, უფრო კაბინეტის კაცი, ვიდრე აქტიური მოღვაწე. გარეშე საქმეთა მინისტრი-ბერნარდინო მაშადო, პირიქით, მხნე, აქტიური პოლიტიკური მოღვაწეა და აჯანყებულთ სათავეში ედგა. ესეც პროფესორია, სპეციალისტი ფილოსოფიაში. იუსტიციის მინისტრი ალფონსო კოსტაც პროფესორია. შინაგან საქმეთა მინისტრი ანტონიო-ხოზე-ალმეიდა იყო გამოჩენილი დეპუტატი და მეთაური რესპუბლიკელთა პარტიისა. პალატაში იგი ხელმძღვანელის როლსა თამაშობდა. საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი ანტონიო—ლუის-გომეცი ადვოკატია. ეს იყო მეტად მომქმედი რესპუბლიკელი და რამდენიმეჯერ გარეული იყო შეთქმულებაში. დანარჩენი წევრები კაბინეტისა—ფინანსთა მინისტრი ტოლესი და საზღვაო მინისტრი ალფონს-გომეცი აგრეთვე თავისუფალ პროფესიის წარმომადგენელნი არიან. პოლკოვნიკი ბარრეტო, სამხედრო მინისტრად დანიშნული, ჯერ კიდევ 1908 წ. 1 თებერვლის ამბოხებაში იყო გარეული. მას იცნობდნენ, როგორც მეთაურს რესპუბლიკელთა სამხედრო პარტიისა.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 სექტემბერი.

საზღვარ-გარედ

ნიუ-იორკი. როგორც უორონდიდან დეპეშით იუწყებიან, მინეზოტის შტატში, ტყეს ცეცხლი მოედო, გადაიწვა ქალაქი პიტტი და გრეისტონი; სხვა ქალაქებიც განსაცდელშია. 75 დამწვარი გვამი იპოვნეს. ამბობენ, რომ მსხვერპლი სამასზე მეტია.

გაზეთ „ნიუ-იორკსენ"-ს ატყობინებენ გვატემალიდან, რომ ქალაქ ამაპოლიდან უცხოელები გარბიან, რადგანაც კომენდანტმა ბრძანება გასცა—შეიპყრან ყველა ინგლისელები, ამერიკელები და ავლადიდება ჩამოართვან. ინგლისის ელჩმა ძლივს გაასწრო. კომენდანტმა ინგლისის რწმუნებულის დაპატიმრებაც მოინდომა; მას აბრალებს, რომ მცხოვრებლებს სარევოლუციო ამბოხებისათვის აქეზებდიო. კომენდანტი იმუქრება, თუ აქ, ინგლისის ელჩის მიერ დაბარებული, სამხედრო გემი მოვა, ქალაქს გადავწვავო.

ლონდონი. რეიტერის სააგენტოს ატყობინებენ, რომ სპარსეთის ჩრდილო მხარეს არეულობა და ცარცვა-გლეჯაა.

პეკინი. სამხედრო მინისტრის ამხანაგი შოუ მონგოლიაში იგზავნება, რათა მონგოლიაში ჯარის საქმის მოწესრიგებას შეუდგეს.

სტამბოლი. სატახტო ქალაქის ერთი კორპუსი საალყომოდ ადრიანოპოლისკენ გაემართა, მეორე კორპუსის შესახვედრად.

ყველა გაზეთები დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ ოსმალეთის მთავრობას საბერძნეთთან დიპლომატიური დამოკიდებულება არ შეუწყვეტია.

ნამდვილად ირწმუნებიან, რომ ეგვიპტის ხედივი საჭეფო ტახტს ვაჟის შვილს უთმობს, რადგანაც ეგვიპტის ნაციონალისტები ინგლისის მთავრობას ვერ შერიგებიანო.

პეკინი. რეგენტსა და აგრეთვე კონსტიტუციონალურ პალატას თავადმა სუმ მოთხოვნილება წარუდგინა, რომ დაუყოვნებლივ მოიწვიონ პარლამენტი.

ვენა. იმპერატორმა ფრანც-იოსებმა ნახევარ საათით ითათბირა გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრთან. მინისტრმა შემდეგ გრაფ ერენტალი ინახულა.

ათინა. ეროვნულ კრების პრეზიდენტად აირჩიეს რევიზიონისტი ესსლინგი. მან განაცხადა, რომ უპარტიო კონსტიტუციონალისტობას გავწევო.

პარიზი. ჩრდილო რკინის გზათა საზოგადოებას საქმეები შეუცვლელათაა. გაფიცულთა რიცხვი იგივეა. მატარებელთა მიმოსვლა რიგზე სწარმოებს.

ვენა. გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრი ბერლინისკენ გაემართა.

რუსეთი

პეტერბურგი. კაპიტან მაციევიჩის გვამი სამხედრო საავადმყოფოდან ადმირალთა ტაძარში გაასვენეს, აუარებელი ხალხი დაესწრო. ოთხი ბალდახინი მისდევდა გვირგვინებით შემკული. ტაძარში იყო სამღვდელოება, საზღვაო უწყების წარჩინებულნი, აუარებელი დეპუტატები—მეზღვაურთა აკადემიიდან, ჯართა სხვა და სხვა რაზმებიდან, სასწავლებლებიდან და სხ. დეპუტაციების მიერ მიძღვნილმა გვირგვინებმა კუბო მთლად დაჰფარა. დასაფლავება 28 სექტემბერსაა.

იალტა. გენერალ დუმბაძის თავმჯდომარეობით მოხდა აფიცერთა თათბირი „გასართობ" სამხედრო რაზმების შესადგენად. ეს რაზმები ბავშვებიდანაა შემდგარი. ჯერ ოთხასი მსურველი ჩაეწერა. ესენი იალტის მკვიდრ მოსახლეთა შვილებია, ადგილობრივ სკოლების მოწაფენი.

პეტერბურგი. უამინდობისა გამო ფრენა გადაიდო.

ოდესა. შავი ზღვისა და აზოვის რაიონის გემთა მეპატრონეების მეორე კრება დაიწყო. კრებამ სასურველად მიიჩნია, რომ ოდესაში გაკეთდეს თავისუფალი ნავთსადგური, სადაც გააჩერებენ გემებს, რომელთაც პირდაპირი მიმოსვლა ექნებათ უცხოეთის ნავთსადგურებთან.

სევასტოპოლი. მებადურთა ნავი ქარტეხილმა დაამსხვრია. სამი მებადური დაიხრჩო. ორი გადარჩა.

ეკატერინოდარი. სამხედრო სასამართლომ გაარჩია ნოვოროსიის ვოლგა კამის ბანკის გაძარცვის საქმე. ერთს 15 წლით კატორღა გადაუწყვიტა, ორი გაამართლა; ერთს სიკვდილი მიუსაჯა.

ყარსი. სამხედრო ტაძრის მახლობლად საპირები მუშაობდნენ. გამოურკვეველ მიზეზისა გამო აფეთქდა (?). ერთი ჯარის კაცი მოკვდა, ორი აფიცერი და 7 ჯარის-კაცი დაიჭრა.

პეტერბურგი. კაპიტან მაციევიჩის სახლობას უმაღლესად დაენიშნა პენსია წელიწადში 1,800 მანეთი.

პეტერბურგი. ავსტრო-ჰუნგრეთში მყოფი რუსეთის დესპანი, თავ. ურუსოვი თხოვნის თანახმად, სამსახურიდან დაითხოვეს. მის მაგიერ დანიშნეს ბელგიაში მყოფი რუსეთის დესპანი—გირსი.

სენატორი ზავადსკი, მისის თხოვნისამებრ, სამსახურიდან დაითხოვეს.

მინსკი. მინსკის მაზრაში ჩამოეშვა ვენის ჰაეროკლუბის სფერო („მარი") ერთის მგზავრით.

სევასტოპოლი. საზღვაო სასამართლომ, დანაშაულის დაუმტკიცებლობისა გამო, გაამართლა 9 მეზღვაური. მათ ბრალსა სდებენ, ვითომც განზრახ მოეშალოთ ჯავშნოსან „იოან ზლატოუსტი"-ს მანქანები.

ფინლანდია

ინგლისის ჟურნალისტის საუბარი გენერალ ბაროდკინთან.

ინგლისის ჟურნალისტს ფილიპს საუბარი ჰქონია გენერალ ბოროდკინთან. ეს გენერალი ერთი იმათგანია, რომელნიც „ფინლანდიის პოლიტიკას" აკეთებენ და ფინლანდიის სვე-ბედს თავისებურად განაგებენ.

აი, რა უთქვამს ამ გენერალს უცხოელ ჟურნალისტისათვის.

„რუსეთს არა სურს ჩაერიოს ფინლანდიის შინაურ საქმეებში, მაგრამ სახელმწიფო სათათბიროს-კი სრული ნება უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს შესახები საკითხები ისე გადაწყვიტოს, როგორც მას მოენებება.

ფინლანდია, ისე როგორც რუსეთის სხვა კუთხეები, ყოველთვის უნდა ემორჩილებოდეს სახელმწიფო სათათბიროს. იმ საკითხების შეცვლა, რომლის გადაწყვეტაც სათათბიროს უფლების ქვეშაა, მხოლოდ თვით სათათბიროსვე შეუძლია. ამავე სათათბიროს უფლებაა აღძრა-გაფართოვება იმ საკითხებისა, რომელიც სეიმის კომპეტენციას ექვემდებარებაო. რუსეთი თავის დღეში ნებას არ მისცემს ფინლანდიელებს, რომ სკოლის საქმეში სრულიად თავისუფალნი იყვნენ, იმიტომ რომ ამ სკოლებში სულ იმას ჩასჩიჩინებენ—ფინლანდია ცალკე სახელმწიფოაო. ფინლანდიელები, უწრთვნელ და ცუდად აღზრდილ ბავშვებივით, დასჯის ღირსნი არიანო".

აქ გენერალმა აღნიშნა ის გარემოებანი, რომელნიც ფინლანდიელთა რუსეთისადმი სიძულვილს ამტკიცებენ და განაგრძო.

„წარმოიდგინეთ, იმ დროს, როდესაც ბალტიის ზღვის პირად მდებარე მხარემ დიდის ამბითა და ზეიმით იდღესასწაულა რუსეთთან შეერთების ასის წლის თავი და ხელმწიფე იმპერატორისაგანაც დიდი მადლობა დაიმსახურა, ფინლანდელებს ამ გვარი დღესასწაულის გაგონებაც კი ზიზღსა ჰგვრის... ასეთი დღესასწაულების გადახდა თავის ქვეყნის დამამცირებლადა და სამარცხვინოდ მიაჩნიათო.

გენერალმა გადაჭრით დაარწმუნა უცხოელი ჟურნალისტი, რომ რაკი სახელმწიფო სათათბიროსა და საბჭოს მიერ შემუშავებულ-მიღებული სრულიად საიმპერიო კანონი უმაღლესად დამტკიცებას ეღირსა, რუსეთი თავის არჩეულ გზას არ უღალატებს და ამ კანონის ცხოვრებაში გატარებას ყოველთვის შეეცდებაო.

ჟურნალისტმა ფილიპსმა, ინგლისში დაბრუნებისას, გენერალთან საუბარი ინგლისის გაზეთებში დაბეჭდა და თან ბოდიში მოიხადა მკითხველების წინაშე: უკაცრავადა ვარ, რომ ასეთ უსიამოვნო ამბებს გაუწყებთო. **(რ.)**

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

1905 წელს, სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, სამართალში მისცეს ბაქოს პოლიცმეისტერი დემინსკი „უმოქმედობისათვის".

საქმის გარჩევის წინა დღეებში „ნოვოე ვრემიას" ცნობილმა თანამშრომელმა მენშიკოვმა ცხარე წერილი დაბეჭდა და დემინსკის გამართლებას თხოულობდა. ამ წერილის ზეგავლენის ბრალი იყო, თუ „საქმის" ვითარებისა, დემინსკი მართლაც გაამართლეს და სენატმა იგი უდანაშაულოდ იცნო. ამ ამბავმა ისე გაახარა რუსეთის პარლამენტის სახელგანთქმული მოღვაწე პურიშკევიჩი, რომ თავისი აღტაცება ვეღარ დამალა და ნამესტნიკის კანცელარიის გამგე პეტერსონს შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა:

> ბაქოს პოლიცმეისტერი კაპიტანი დემინსკი, ეს ღვაწლ-მოსილი თანამოღვაწე დაუვიწყარის თავადის ნაკაშიძისა, და უქვეშევრდომილესის გრძნობით აღვსილნი, პოლიციის კეთილშობილნი მოხელე-თათრები,—დემინსკის თანაშემწენი,—სენატმა გაამართლა გაფაციცებით ვადევნებ რა თვა-ყურს თქვენს ყოვლად მავნებელსა და დამღუპველ მოღვაწეობას კავკასიაში, რომელ მოღვაწეობის მეოხებითაც თქვენ მხარს უჭერთ რევოლიუციონერ სომხებს, ხოლო თვითმპყრობელ მეფის უერთგულესს მონა-მოსამსახურე-თათრებს კი სულსა ჰხდით, მთავარ-ანგელოზ მიხეილის კავშირი ღრმადაა დარწმუნებული, რომ ახლო-მომავალში ამ კავშირს ბედნიერება ექნება იმ საბუთების ძალით, რომელიც ამ საზოგადოებასა აქვს შეკრებილი, თავისს უსაყვარლესს თვითმპყრობელს თვალ-წინ გადაუშალოს მავნებლობა თქვენის შემაძრწუნებელის მოღვაწეობისა კავკასიაში, იმ მოღვაწეობისა, რომლის მიზეზებითაც მცირდება რუსების ზეგავლენა და რუსების ძალა კავკასიაში რისთვისაც თქვენ მიიღებთ იმ ღირსეულ ჯილდოს, რომლეზედაც ასე ოცნებობენ და ჯერ ასე უნაყოფოდ შესთხოვენ მთავრობას კავკასიის ჭეშმარიტი რუსები.

რა ჯილდოცაა ეს ჯილდო, ან როგორ ჯილდოს გაიმეტებენ ბ-ნი პურიშკევიჩი და ძმანი მისნი „რევოლიუციონერ სომხებისა, თუ სხვათა" მონხრეებისათვის, ეს ყველას მოეხსენება და არც საყურადღებოა ამ ჯილდოს დასახელება. საყურადღებო და აღსანიშნავი აქ ის გამბედაობაა, რომელსაც ასე კადნიერად იჩენენ პურიშკევიჩ-მენშიკოვები და რომელთა კადნიერებასაც ოცნებიდან გამოჰყავს ყველა, ვისაც კი ამ ჩვენ დაღუპულ დროში ცოტაოდენი ნამუსი და ხალხისა თუ სამართლიანობისადმი პატივისცემა კიდევ შერჩენია. ვინ, ვინ არიან პურიშკევიჩ-მენშიკოვები, რომ ასე თამამად ლაპარაკობენ?

ვინ?

ამაზე აი რასა სწერს გაზეთი „რეჩი":

> სენატის სისხლის-სამართლის საქმეთა დეპარტამენტის განაჩენმა ბაქოს პოლიციელთა გამართლების შესახებ, იმ განაჩენმა, რომელსაც წინ უძღოდა მენშიკოვის წერილები, ხოლო უკან კი პურიშკევიჩის დეპეშა დაედევნა, სრულებით ნათელ-ჰყო ის წრე, რომელშიაც დატრიალებდა ეს საქმე.
>
> საქმის გარჩევის წინა დღით მენშიკოვი თხოულობდა ბაქოში მომხდარ სისხლის ღვრის გმირების გამართლებას,

მსახური ეკლესიისა

11.

იაკობ მღვდელი არამც თუ არა ცდილობდა მოეხვეჭა სხვისაგან, წაერთმია ვისთვინმე, დაერბია ვინმე, მოემკო იქ სადა არა დაეთესნა და შეეკრიბნა იქ, სადა არა გაებნივნა და შეეტანა თავის ოჯახში ლუკმა ჰარამი, არამედ თავისსაც ძუნწად არ ჩასჭიდებოდა და არ იწვა ღვთისაგან მიცემულ დოვლათზე, ვითარცა ძაღლი მღრინავი. სახლის კარი ღია ჰქონდა მოყვასთათვის, მის სახლში გაჭირვებული ყოველთვის ჰპოვებდა თავშესაფარს და ლუკმას. გაჭირვებული კი ბევრი ეტანებოდა მის ოჯახს.

მრავალი ჰყავდა იაკობ მღვდელს ხელმოკლე ნათესავი თუ ნაცნობი და მის ოჯახში ყოველთვის იყო შეკედლებული ვინმე ყელგადაგდებული. მიკედლებულთა რიცხვი მრავლდებოდა ზაფხულობით: ბევრი მისი ქვრივ-ოხერი და ღარიბ-ღატაკი ნათესავი ქალაქს იყო გახიზნული. ისინი იქ უფრო ადვილადა შოულობდნენ საზრდოს: ჰხერხავდნენ, ბარგს ეზიდებოდნენ, დღიურ მუშად გადიოდნენ მოედანზე, ჰქსოვდნენ, ჰკერავდნენ, რეცხავდნენ, აცხობდნენ, ხელზე ემსახურებოდნენ და ათას სხვა საქმეში ჰშველოდნენ შეძლებულებს.

რაკი დადგებოდა ზაფხული და ქერს მოსჭრიდნენ, ეს სოფლიდან გასული ხალხი სოფელსავე მოედებოდა, რომ ზაფხული სუფთა ჰაერზე გაეტარებინათ და ცოტა რამ კიდეც წაეგლიჯნათ სოფლისათვის საზამთროდ. ბევრი ამ ნიადაგ-გამოცლილ ხალხთაგან იაკობ მღვდლისას იღებდა ბინას.

მღვდლის სახლი მიწური იყო, დიდი, ბევრი-ოთახებიანი. ოდესმე იმ სახლში დიდად გამრავლებულ ოჯახს ეცხოვრნა და შუა-დარბაზისათვის ათასი ბუნაგი მიეშენებინათ. დარბაზს წაბმული ჰქონდა შინ-სახლი, სათონე, მარანი, ოდა, გომური, დიდი ოთახი, პატარა ოთახი, დერეფანი. ყველა ამ ბუნაგის კარი ჭრიალით ტრიალებდა ცალ-ფეხზე და ურდულით იკეტებოდა. მხოლოდ პატარა ოთახი იყო გემოვნებაზე გაკეთებული, ფანჯრებიანი. ყველა მისული ცალკე იკეთებდა საკუჭნაოს ამ სახლში. ბინა-საცხოვრებელი კი არ უნდოდათ ცალკე, რადგან მისვლისუმალ დაშინაურდებოდნენ ხოლმე. კუთხე მხოლოდ იმისთვის სჭირდებოდათ, რომ თავიანთი სავაჭრო დაებინავებინათ და მონაგარი შეექუჩებინათ. ამ კუთხეს სასტიკად იცავდნენ, მზირის თვალით სდარაჯობდნენ და ყველას ალმაცრივ უყურებდნენ, თუნდა საჭირო საქმისათვის მიმდგარიყო იქით. ამ კუთხეებში ეწყო და ეკიდა სავსე ბოლჩები, კალათები, დატენილი პარკები, ტოპრაკები, ტომრები, ხურჯინები, ცოცხების კონები და ათასი სხვა მოხვეჭილი სარჩო-საბადებელი. ყოველივე ეს შექუჩებულ-შეძენილი იყო ყიდვით თუ გაცვლით, თხოვნით, დატყუებით და ათას გვარი თვალთმაქცობით. ყველაზე დიდი კუთხე ეჭირა მოლოზან გუქას. აქ გასაცვლელ-გასასყიდი არა ეწყორა რა, რადგან გუქა მხოლოდ ხატის წყალობით შოულობდა ყველაფერს. მიისვენებდა ხატს გულზე და დადიოდა უბნიდან უბანს, სოფლიდან სოფელს: ხორბალს თხოულობდა მონასტრის საზრდოდ. სახლში ის მეტ პატივს აძლევდა თავის თავს და სხვა ჩამოსახლებულებთან თავს არა სდებდა. სადილ ვახშმად მღვდელს ამოუჯდებოდა მუხლში და შეექცეოდა მასთან სამღთო საუბარს თვალებ ძირს დახრილი. თვალწყლიანი დედაკაცი იყო მწითური მკერდ მაღალი. როგორღაც ვერა გვანდა უხორცოთა ძალთა თანაზიარს.

—ქალო, გუქან! კიკო შევარდნიძე მართლა ჯერ ხატს ემთხვევა და მერე შენ გეამბორა ლოყაზე?

—მაგას რასა ბრძანებ, მოძღვარო! უხუმრიათ: კიკო დარბაისელი კაცია და როგორ გამიბედავდა ღვთის საწყენ საქმეს?!

მღვდლიანი მოთმინებით ელოდნენ შემოდგომას, როდესაც, რთველ შემდეგ, ეს ამოდენა კალია აიყრებოდა სახლიდან და გაემართებოდა თავის ზამთრის ბინისკენ. ოჯახი ილაჯ გაწყვეტილი იყო მათგან და ნიათ გამოლეული, მაგრამ მოთმინების მეტი რა გაეწყობოდა? გლახაკთა შეწყნარება მცნებაა უფლისა.

ერთი კარგი ზნე კი სჭირდა ამ შემოხიზნულ ხალხს: არა ნაზობდა, არც აზიზობდა; არც გულჩათხრობილნი ისხდნენ დაღვრემილ-დაღრეჯილები, ქალაქში მშიერ-მწყურვალნი და შიშველ-ტიტველნი, ჩახშულ-მიბნელებულ სარდაფებში ჩამწყვდეულნი, ჯაფით ხელებ დაკოჟრებულ-დატყავებულნი და სახე აშუშხულ-ალანძულნი აქ თავისუფლად იყვნენ—იალაღზე გამოფენილნი, ლუკმა მზანი და ქორწილად მიაჩნდათ აქაურობა. ხმელი პური ნაზუქად ეჩვენებოდათ, ჭრიანტელი თუ ნიორტავი გემოვან რამ სახვრეტელად და თუ ხორცი გაჩნდებოდა სახლში, სიხარულ-სიამის ნათელი აღარ შორდებოდათ სახიდან. მღვდლის სახლი ხომ მცირედზედ იყო კმაყოფილი და მადლიერ-მოღიმარე და ეხლა იგივე მცირე სწორედ გულის უნათებდა ყველას: სიტყვა-მახვილობა, ხალისობა, მხიარულობა, სიცილ-ხარხარი და თქართქარი არ მოეშლებოდათ მთელ ზაფხულს. რამდენს ახალს ამბობდნენ, რამდენი ჭორი თუ მართალი შემოჰქონდათ! ზაფხულობით ოჯახში შემოტანილი სიტყვა, თქმა თუ შაირ-გამოცანა, თხრობა თუ ამბავი მთელ ზამთარსა ჰყოფნიდა სალაპარაკოდ იაკობ მღვდლის ოჯახს.

12.

შემოდგომა იყო. იაკობ მღვდლის სახლში შეხიზნული ხალხი იბარგებოდა, წასვლას აპირობდა და ოჯახი უკვე მოელოდა დაწყნარებას. წლის მოსავალი უკვე შემოგულებული იყო სახლში. ორმოები, ზეღელი თუ ტომრები პირამდინ იყო სავსე თავთუხით, შავფხით, დიკით, ქერით, სიმინდით, ფეტვით და სხვა ჭირნახულით. ათას გვარი სამარხო მარცვლეულობით დატენილი პარკები, ხახვისა და ნივრის გალები, საზამთროდ გამხმარი მწვანილეული თუ სხვა რამ ბალახ-ფოთოლი ჩამოემწკრივებინათ კედლებზე, ბოძებზე, ძელებზე. კართოფილით, ჭარხლით, სტაფილოთი თუ სხვა ბოსტნეულობით გატენილი იყო სახლის კუთხეები. ღვინისა და ხილის მოსავალი კარგი ჰქონდა იაკობს და მარანი სავსე იყო დოვლათით: სავსე ქვევრები, ყურძნისა თუ მხალ-ვაშლის ჯაგნები, სხვა-დასხვა გვარი ჩირის ასხმულები, ათასგვარი კერკი პარკებით თუ ხონჩებით, ჩურჩხელა თუ ტყლაპ-თათარა, დარაზმული წნილის ქილები... გულსავსეთ იყო იაკობის კურთხეული ოჯახი, იმედიანად და გულ-დინჯად შეჰყურებდა მკაცრ თვალებში მომავალ ზამთარს.

მრევლიც გულ-მაღრადა ჰყავდა მოძღვარს: გამჩენმა უხვად მოჰმადლა მთელს სოფელს ყოველივე კეთილი, მოწყალე თვალით გადმოხედა ქვეყანას და გაალაღა გული მუშაკისა.

იაკობ მღვდელი ისეც ხომ ყოველთვის მადლიერი იყო ცხოვრების მომნიჭებელისა, ხოლო ეხლა მისი გულ-კეთილობა ვარდად გადაშლილიყო და წითლად ღაღანებდა. სუფრა დერეფანში ჰქონდა გაშლილი დიდ ტახტზე. სუფრის თავს მოეკცნა თვით მამამთავარ იაკობს, ახალუხის ამარა იჯდა, ღილებ ჩახსნილი, წელზე ფოჩიანი სარტყლით. გარს შემოსხდომოდნენ მისი სახლობა და ჩასახლებულები. უხვ სანოვაგეს, წითელ ღვინის ციმციმს, თეთრ კბილს და თეთრსავე გულს მასპინძლისას სუფრა გაემხიარულებინა და აეხმაურ-აემღერებინა. მიირთვეს გუქას სადღეგრძელო და დააგუგუნეს მრავალჟამიერი. გალობაში მოქნილ-მოწვრთნილი ხმა მოლოზნისა გვერდში ამოუდგა მოძღვრის რიხიან ძახილს, ფეხდაფეხ აედევნა მას; ხან ეკრძალებოდა, განზე იწევდა, ჰშორდებოდა; ხან უახლოვდებოდა, ეტოლებოდა, ეყრდნობოდა, ჩაეხვევ-ჩაეწნოდა და მინაზებული ოდნივ-ღა ფეთქავდა. ეზოში მოსული მეინახენი აღტაცებით უერთებდნენ მომღერალთა სიმღერას და მწყობრი ხმებით სავსე იყო მთელი ეზო, როდესაც უეცრად გაიღო ალაყაფის კარები და ცხენ-და-ცხენ შემობრძანდა თვით ბლაღოჩინი.

წამოიშალნენ სუფრიდან. მღვდელს მსწრაფლ მიართვეს კაბა-ანაფორა და ქოშები. გადაფრინდა აბრამ დიაკვანი, ჩააჩუმა ალავლავებული ძაღლები, ხელზე ემთხვია ბლაღოჩინს და ავჟანდა დაუჭირა, რომ გადმობრძანებულიყო ცხენიდან. შემოეხვივნენ საპატიო სტუმარს. მღვდელმა რომ შენდობა აიღო და ხელზე ემთხვია, მოძღვართ უხუცესმა პირზე აკოცა მას და მიულოცა:

—მომილოცნია, მამაო იაკობ, მოძღვართ მოძღვრობა! ჩემმა სა-

ხოლო როცა ამ გმირებს გამართლების განაჩენი გამოუცხადეს, მართლმსაჯულების გამარჯვებით ნასიამოვნებმა პურიშკევიჩმა ბევრი აღარ დააყოვნა და კავკასიის ადმინისტრაციას დეპეშით ენა გამოუყო—ნიშნი მოუგო: აბა, რა გაიტანეთ, სამართალში რომ მიეცით ეს გმირებიო!.. თუ ყურადღებას არ მივაქცევთ იმ გადაჭარბებულ პრანჭვა-გრეხასა და ალტყინებას, რომელიც ასე ახასიათებს ხოლმე პურიშკევიჩის ყოველივე მოქმედებას, ნათლად დავინახავთ რომ პურიშკევიჩის სიხარული და ნეტარება გამამართლებელ განაჩენის გამოტანისა გამო, ადვილი წარმოსადგენია, ისე, როგორც ადვილი წარმოსადგენია მენშიკოვის სუსხიანი მოთხოვნა დასახელებულ გმირთა გასამართლების შესახებ, საქმის გარჩევის დაწყებამდე.

ის აზრი, რომელი აზრიც მენშიკოვს ყვავილოვან ფრაზებში აქვს გახვეული, მკაფიოდ გამოჰკრთის პურიშკევიჩას შიშველა დეპეშიდან. ჭეშმარიტ რუსთა ლოღიკა და აზრთა მსვლელობა მეტის-მეტად თან და თანი და უბრალოა და ამ ჭეშმარიტ-რუსთა გულადობას სიმხდალეს ვერავინ უკიჟინებს. მათ თავის მოქმედების შედეგისა არც ეშინიანთ და არცა სცხვენიათ. მენშიკოვ-პურიშკევიჩის აზრით, ეს საქმე საყურადღებო არც კია: თათრები ჟლეტდნენ სომხებს, მაგრამ რადგანაც თათრები, ისე როგორც თვით პურიშკევიჩი, უქვეშევრდომილესის გრძნობით არიან გამსჭვალულები, ხოლო სომხები კი ისე ერთგულნი არ არიან, ამიტომ...

დასკვნა ცხადია. ე. ი. რადგანაც სომხები რევოლიუციონერები არიან, თათრებს ძალიან კარგი უნებებიათ, რომ სომხებს „ცოტა სისხლი გამოუშვეს“. ამითი დიდი სამსახური გაუწიეს კავკასიაში „ამბოხების“ ჩაქრობის საქმეს. ამითი დააშინეს სხვა თავხედებიც და ამიტომ ყველა, ვინც კი, ნებსითა თუ უნებლიედ, მონაწილეობას იღებს ამ „სისხლის ღვრაში“, ჯილდოს ღირსნი არიან და არა—დასჯისა. პურიშკევიჩებზე უფრო უბირმა ჭეშმარიტმა რუსმა შეიძლება უფრო ნათელი დასკვნაც გამოიყვანოს და სთქვას: რუსის ქვეშევრდომნი იყოფიან ორ ნაწილად: ერთ მხარეს დგანან უქვეშევრდომილესს გრძნობით აღვსილნი, მეორე მხარეს—ამ გრძნობას მოკლებულნი. ვინც მარჯვნივ პირველ რიგში ხდგას, იმას სრული ნება აქვს, „ძარღვებიდან სისხლი გამოუშვას“ მარცხნივ მდგომს და ამისათვის არც სინიდასმა უნდა შეაწუხოს და ვერც კანონი დასჯის. მაგრამ ვინ არიან ეს მემარცხენენი ჭეშმარიტ რუსისათვის? რასაკვირველია ყველა ისინი, ვისზედაც უთითებენ დიდებული ექსპერტები „ნოვოე ვრემია“ „ზემშჩინა“ და „რუსკოე ზნამია“...

სომხების ხოცვა-ჟლეტა კავკასიაში, ურიებისა—სამხრეთითა და დასავლეთით, ინტელიგენტებისა—აღმოსავლეთითა და ჩრდილოეთით—ასეთია ლოღიკა ცოცხალის მაგალითებისა, ასეთია მთელი რიგი სისხლით შეღებილ ამბებისა, რომელსაც შედეგად ყოველთის დაუსჯელობა მოსდევს ხოლმე.

შედეგია თუ არა სენატის განაჩენიც ამ უძლეველის ლოღიკისა ჩვენ არ ვიცით არ ვიცით იმიტომ, რომ ამისი არც დამტკიცება შეგვიძლიან და არც უარის ყოფა, ვინაიდან საკმაო საბუთები არა გვაქვს. მართალია მენშიკოვმა, საქმის გარჩევის წინა დღით, გადაჰკრით მოითხოვა დამნაშავეთა გამართლება, ხოლო პურიშკევიჩმა ეს განაჩენი თავის პირად გამარჯვებად ჩასთვალა, მაგრამ ეს კიდევ საკმაო საბუთს არ გვაძლევს—სენატსაც ჭეშმარიტი რუსობა დავაბრალოთ, ვინაიდან პურიშკევიჩი ცოტა გატაცებული კაცია და ადვილი შესაძლებელია სენატის გადაწყვეტილება თავის გულის-თქმას შეუწონა. მეორეს მხრით არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ თუ ყველა სენატორებმა არა, ერთმა სენატორმა მაინც—ბ-ნმა კუზმინსკიმ,—რომელიც ამ საქმის გამოსაძიებლად იყო ბაქოში გაგზავნილი, დიაღ ბ-ნმა კუზმინსკიმ მაინც, ძალიან კარგად იცოდა პოლიციელთა დანაშაული და... ამ მხრივ სენატის განაჩენი ცოტა არ იყოს უცნაურად გვეჩვენება. ვსთქვათ, სამართალში მიცემულ პოლიციელნი ისეთივე პატრიოტები და ერთგული პატრიოტები არიან, როგორიც არის თვით პურიშკევიჩი, მაშინ რაღას ნიშნავს სენატის განაჩენი? ნუ თუ იმას, რომ სენატსაც ისე ესმის სამსახურისა და მამულიშვილობის მოვალეობანი, როგორც ესმის პურიშკევიჩსა და ჭეშმარიტ-რუსთა მთავარ-ანგელოზ მიხეილის საზოგადოებას?

თუ ეს ასეა, მაშინ პურიშკევიჩს სრული ნება აქვს იამაყოს და სენატის განაჩენი თავისს პირად გამარჯვებად, თავის გულის-თქმათა და მისწრაფებათა განხორციელებად ჩასთვალოს.

და აკი სთვლის კიდეც! მაგრამ ამითი ვის რა შეღავათი გვეძლევა. და აქვს თუ არა ბოლო პურიშკევიჩების გულადობას? აი, საკითხი, რომლის შესახებაც, სამწუხაროდ ყველანი სდუმან.

O, tempora, o mores!

ახალი ამბები

ტფილისი

◆ **ქალაქის წარმომადგენელნი საპედაგოგიო საბჭოში.** შარშან ტფ. ქალაქის თვითმმართველობამ გადასწყვიტა თავისი წარმომადგენელნი ამოერჩია ტფ. საშუალო სასწავლებლების საპედაგოგიო საბჭოებში, მაგრამ კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ეს დადგენილება არ დაამტკიცა იმ მოსაზრებით, რომ ქალაქის წარმომადგენელნი საჭირონი აღარ არიან, რადგან ტფილისის სასწავლებლებთან მშობელთა წრეები არსებობსო. ქალაქის საბჭომ ამის შემდეგ თავის იურისკონსულტს მიანდო იმის გამორკვევა, რამდენად ეწინააღმდეგება არსებულ კანონებს ქალაქის მიერ წარმომადგენლების არჩევა. იურისკონსულტის დასკვნით, ქალაქს წარმომადგენლების არჩევის უფლება კანონით მინიჭებული აქვს. ქალაქის საბჭომ მოისმინა იურისკონსულტის დასკვნანი და დაადგინა კავკასიის უმაღლეს მთავრობის დადგენილება სენატში განასაჩივროს.

◆ **სახალხო უნივერსიტეტში.** 27 სექტემბერს სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრთა კრება მოჰხდა. გამგეობამ გაანაწილა დღეები, როდესაც წაკითხულ იქმნება სახალხო სახლში ლექციები და შემდეგ მოისმინა ერთი ნაწილი ექიმ ფეოდოროვის მოხსენებისა სახალხო უნივერსიტეტის მოქმედების შესახებ 1909 და 1910 წლებში.

◆ **ტფ. ქალაქის საბჭო.** ორშაბათს, 27 სექტემბერს ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება მოჰხდა. საბჭომ სხვათა შორის დაადგინა: 1) მიეცეს ქალაქის მუშას ჭამიაშვილს 80 მ. შემწეობა, 2) მიეცეს მეორე მუშას—112 მ., 3) უარი ეთქვას მუშის ჩიქოვანის მეუღლეს შემწეობაზე, 4) მიჰყიდოს სახლის პატრონს ფორერს $1\frac{1}{2}$ საჟენი ქალაქის მიწა მიხეილის ქუჩაზე, საჟენი 150 მან. 5) მიჰყიდოს ნავთლუღში მდებარე ქალაქის მიწები, ზომით 39.000 ოთხ-კუთხი საჟენი სამხედრო საინჟინერო უწყებას 400.000 მანეთად, 6) მიჰყიდოს ვერის დაღმართზე მდებარე ქალაქის მიწა, 47 საჟ., ზაქარია აბრამაშვილს 940 მან. შემდეგ ქალაქის საბჭომ მსჯელობა იქონია იმ მამულების შესახებ, რომელიც ქალაქისგან სხვა და სხვა პირთ იჯარით აქვთ აღებული და ახლა საკუთრებად უნდათ შეიძინონ.

◆ **რკინის გზა ტფილისიდან კოჯრამდე.** ტფილისის ქალაქის თვითმმართველობასთან დადებულ ხელშეკრულების ძალით, ტფ. ფუნიკულერის სააქციონერო საზოგადოება მოვალე იყო 1910 წლის 11 მარტამდე აეღო ნებართვა ტფილისიდან კოჯრამდე რკინის გზის გაყვანისა. სააქციონერო საზოგადოებას 10.000 ჯარიმა უნდა გადაეხადნა, თუ ნებართვას ამ დრომდე არ აიღებდა. ფუნიკულერის საზოგადოებას ნებართვის აღება ვერ მოუსწრია და ამიტომ სთხოვა ქალაქის გამგეობას, კიდევ რამდენისამე ხნის ვადა მოგვეცითო. ქალაქის საბჭომ განიხილა ეს თხოვნა და დაადგინა: დააცადოს ფუნიკულერის საზოგადოებას ნებართვის აღება 1911 წლის 11 მარტამდე იმ პირობით კი, რომ რკინის გზა გაიყვანოს 1912 წლის 11 მარტამდე. ამასთანავე მოსთხოვოს საზოგადოებას კიდევ 2.000 მან. ზე იმ 10.000 მან. გარდა, რომელიც სააქციონერო საზოგადოებას უკვე შეტანილი აქვს ქალაქის კასაში.

◆ **ახალი სააგენტო.** როგორც გადმოგვცეს, რამდენიმე პირს განუზრახავს დაარსოს ტფილისში კავკასიის დეპეშათა სააგენტო.

◆ **სარევიზიო კომისიაში.** დღეს მოჰხდება ტფ. ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის კრება, რომელიც განიხილავს ქალაქის გამგეობის მოქმედების ანგარიშს 1908 წელში.

◆ **მიწის სივიწროვე სვანეთში.** კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწეს სენატორს ვატაცის განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია მიწის სიმცირისთვის ქვემო სვანეთში. ამის გამო უმაღლესს მთავრობას განუზრახავს მცხოვრებთ რაიმე დახმარება აღმოუჩინოს. ამ აზრით ამ დღეებში სვანეთში იგზავნება სახელმწიფო ბანკის საბჭოს წევრი ნიკიფოროვი, რომელმაც უნდა გამოარკვიოს მცხოვრებთა საჭიროებანი აგრეთვე ის საშუალებანი, რომლითაც მთავრობას აზრად აქვს გაუადვილოს მცხოვრებთ მიწის შეძენა.

◆ **რედაქტორის საქმე.** 27 სექტემბერს ტფ. სასამართლო პალატაში წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით და ხალხის დაუსწრებლად გაირჩა საქმე ქართულ კვირეულ ჟურნალის „გლეხი“-ს რედაქტორის მიხეილ ადამაშვილისა, რომელსაც ბრალსა სდებდნენ სისხლის სამართლის სასჯელთა დებულების მე-129 და 128 მუხლის ძალით. მ. ადამაშვილს სასამართლომ ერთის წლით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტა. ამასთან ჩაეთვლება ის დრო, რომლის განმავლობაში ის ციხეში ჰზის.

◆ **სენატის განმარტება.** ტფ. ქალაქის მიერ აძრულ საჩივრის გამო სენატმა განმარტა, რომ ავჭალის ქუჩის წყალსაყვანი საფაბრიკო ინსპექციას უნდა დაემორჩილოს.

◆ **ხოლერა ტფილისში.** პოლიციის ცნობით, 27 სექტემბერს ტფილისში ხოლერის ნიშნებით ავად გახდა და ხოლერიანთა სამკურნალოში გაგზავნეს ზინაიდა ვორონინისა.

◆ **ხოლერა ამიერ-კავკასიაში.** განჯის გუბერნიაში: 14-დან 24 სექტემბრამდე ხოლერით ავად გახდა 17 კაცი, გარდაიცვალა—10. ყარსსა და მის ოლქში: 26 და 27 სექტემბერს ავად არავინ გამხდარა. ბაქოს საგრადონაჩალნიკოში: 22 სექტემბერს ავად გახდა—2; დამატებით: 20 სექტემბერს ავად გახდა—2, გარდაიცვალა—2, 21 სექტემბერს ავად არავინ გამხდარა.

◆ **რუსთა პატრიოტულს საზოგადოებაში.** ტფ. ქალაქის გამგეობას ამ დღეებში ტფ. რუსთა პატრიოტულმა საზოგადოებამ სთხოვა, ნება მოგვეცით ქალაქის სხვა და სხვა უბანში ფარდულები ავაშენოთ და იქ ჩვენის საზოგადოების მიერ გამოცემული წიგნები გავყიდოთო.

◆ **ახალი ჟურნალი:** ტფ. გუბერნატორმა ნება დართო ექიმს ი. აკოფოვს ტფილისში გამოსცეს ასირიულს ენაზე ი. ს. სარქისოვის რედაქტორობით კვირეული ჟურნალი სახელად „კასიდ სურაია“ (სირიელთა მოამბე).

◆ **კავკასიის უნივერსიტეტი.** შუშის ქალაქის საბჭოს დაუდგენია წელიწადში 2,000 მან. შემწეობა აძლიოს ტფილისში განზრახულს უნივერსიტეტს.

◆ **სენატის განმარტება.** ამ დღეებში სენატმა განმარტა, რომ ახალგაზრდანი, რომელნიც სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლებულ იქმნენ სამაზრო საკრებულოს შეცდომით და არა ჯარში გაწვეულ პირთა მოხერხებით, სამხედრო ბეგარისაგან სრულიად განთავისუფლებულნი უნდა იქმნენ, თუ სამხედრო საკრებულომ ეს შეცდომა ორის წლის შემდეგ აღმოაჩინა.

◆ **ფრენა.** ა. ა. ეინხელვაიდმა, რომელმაც ავიატორი უტოჩკინი ტფილისში მოიწვია, სთხოვა ტფ. საშუალო სასწავლებლების დირექტორებს, ახლავე მაცნობეთ რამდენი მოსწავლე დაესწრება ფრენას, რომ დროზე დავამზადო მათთვის შესაფერი ადგილებიო.

◆ **ფუტკრის ავადმყოფობის გამოკვლევა.** მიწად მოქმედების დეპარტამენტის დავალებით, ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდნენ მეფუტკრეობის მცოდნე პირნი ბაგრამოვი და ტარტაკოვსკი, რომელთაც უნდა გამოიკვლიონ ფუტკრის ავადმყოფობა ამიერ-კავკასიაში.

◆ **ხოლერიანთა რიცხვი ტფილისში.** ქალაქის სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის ცნობით, 27 სექტემბრის დილის 9 საათიდან 28 სექტემბრის დილის 9 საათამდე ტფილისში ხოლერით ავად გახდა 1 კაცი. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო 5 ავადმყოფი, მოემატა—1, არის—5,

◆ **ქართულს გიმნაზიაში.** როგორც გადმოგვცეს, ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებას განსახილველად წარედგინება, სხვათა შორის, საკითხი ქართულს გიმნაზიასთან პანსიონისა და საანბანო განყოფილების გახსნის შესახებ.

◆ ტფ. ქალაქის მოსამსახურეთა შტატების გადამსინჯველ კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა მ. გ. ღუნკგვაძე.

◆ 27 სექტემბერს პოლიციამ ტფილისში შეიპყრა 38 უპასპორტო.

◆ 27 სექტემბერს პოლიციამ ტფილისში შეიპყრა ოზურგეთის მაზრის მცხოვრები ერასტ ქაიხოსროს ძე მდივანი, რომელიც ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული იყო და თავის ნებით დაბრუნდა.

წერილი ფოთიდან

ფოთლები რომ ყოველგვარ კულტურულ-განმანათლებელ საშუალებას მოკლებულნი არიან—არ მგონია, რომ ვინმესთვის ახალი ამბავი იყოს—ეს ჭეშმარიტებაა. აქ არ მოიპოვება თეატრი, არ მოიპოვება სახალხო უნივერსიტეტი და სკოლები, როგორც ეს სხვა და სხვა ქალაქებში არის, არ მოიპოვება ერთი ისეთი დაწესებულება, საიდგანაც კაცს შეეძლოს შეიძინოს რაიმე სულიერი და გონებრივი საზრდო და აბა, სთქვით ყველა ამებს მოკლებული ხალხი როგორ დაადგეს გათვითცნობიერების გზას!..

აქაური ინტელიგენცია, რომლის პირდაპირ მოვალეობაა ამაებზე ზრუნვა,—სალათას ძილს მისცემია და ღმერთმა უწყის, როდის გაიღვიძებს.

ლექციების კითხვა, თუ სხვა რამ ასეთი აქ მოულოდნელ ამბად ითვლება, თუმცა ამ დღეებში ასეთი მოულოდნელი შემთხვევის ღირსი შევიქენით.

წასულ კვირას აქ გააკრეს აფიშები, სადაც იყო გამოცხადებული, რომ ბ. ნ. ნიკოლაძე წაიკითხავს ლექციასო. ყველა ალტაცებით მოელოდა დანიშნულ დღეს. მართლაც 25 სექტემბერს ბ. ნიკოლაძემ ადგილობრივ საკრებულოს დარბაზში წაიკითხა რუსულ-ენაზე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ, ლექცია შემდეგ თემაზე: „რუსეთისა და საქართველოს განწყობილების ეპიზოდი 1596—1607 წლებში. დარბაზი რვა საათზე უკვე გაჭედილი იყო ხალხით (აქა იქ გაგონებდით შემდეგს: ბ. ნიკოლაძეს ბევრი საიდუმლოება აღმოუჩენია რუსეთისა და ევროპის სხვა და სხვა არხივებში, რო-

---

ბლაღოჩინოს მღვდლებმა ერთხმად ამოგირჩიეს თვის მოძღვრად. თითონ მეცა მსურს გითხრა ხოლმე აღსარება და შევიქმნე შენი სულიერი შვილი.

მღვდელს გული გაუნათდა, სუნნელოვან რაიმ ნელსაცხებლად ეცხო მთელ მის არსებას ეს კეთილი ამბავი ნიშნად მადლობისა კვლავ ემბორა უფროსს წარსდგა შენდობისათვის მოლოზანა გუქაც. უხვი სანოვაგისაგან და ტკბილ ღვინისაგან შეწითლებულ-შეღაჟღაჟებული ისეც ლაღანა ქალი მაისის ვარდად გარდაფურჩქვნილიყო შავ თასაფარში. დახედა ბლაღოჩინმა და ფართოთ გადასახა ჯვარი: გულს ეფონა; ერთს წუთს, მხოლოდ ერთ წამს აღიმაღლა მასში ქედი ანგელოსმან სატანაასმან და განმახვა ძლიერად საწერტელი ხორცთა მისთა და როდესაც გუქა დაიხარა ხელზე სამთხვევად, მოძღვართუხუცესმა მხარეზე აკოცა მას. ახ, რა ახლო იყო მისი ფუნთუშა ლოყა! ვაჟკაცმა სითბო იგრძნო მისი და კეთილსუნნელება. მოძღვართუხუცესი რომ გუქას მხარეზედ ემთხვია, ეს ყველამ მიიღო ნიშნად მისის თავმდაბლობისა და ეკლესიისავე მსახურისადმი პატივცემისა.

გაახლეს სუფრა, წაუმატეს, ძალიან მოუმხიარულეს მოსულ სტუმარს. მზის გადახრამდინ შეექცეოდნენ. სადილთუკან მოძღვართუხუცესს პატარა ოთახში მოუსვენეს. სახლი მთლად გაკრძალეს, რომ ძილი არ შეჰფრთხობოდა ისეც ყოველთვის პატივსადებს, ხოლო დღეს ძვირფას სტუმარს.

მზე ჩასვლაზედ იყო. მოჰბერა საღამოს ნიავმა. დიაკვნები გარს ეხვეოდნენ პატარა ოთახს და ყური მზირად ეჭირათ, რომ უფროსის გაჩუჩუნება არ გამოჰპაროდათ. შემოძუნძულდა ალაბეშა და მიეგდო პატარა ოთახის კარებში. ელდა ეცათ დიაკვნებს, უნდოდათ ძაღლი უჩუმრად მოეშორებინათ კარებისთვის და ხან პური უჩვენეს, ხან ძვალი, ხან უწრუწუნეს ხორცით ხელში, მაგრამ ამაოდ: ძაღლი ყურსაც არ იბერტყავდა. დაუძახეს აბრამ დიაკვანს, მაგრამ გაყვინიზებულმა ქოფაკმა პატრონსაც აღარ გაუგონა. აბრამამ წამოავლო სახრეს ხელი და შეუმაღლა შესაშინებლად, მაგრამ გულმა ველარ გაუძლო, ველარც ხელი შეიმაგრა და მარჯვედ დაუშვა შოლტივით მოქნილი ჯოხი. ისე მძლავრად გაისმა ძაღლის ღრიალი ამ სიჩუმეში, მკვდარს წამოახტუნებდა. წამოფრინდა შემკრთალი ბლაღოჩინი, გახლიჩა ოთახის კარი გაწეწილმა და, რა დაინახა გაფითრებული ხალხი და აბრამ დიაკვანი სახრით ხელში, მყის მიხვდა ყოველსავე და ერთი ისეთი გულიანად გადიხარხარა, რომ ყველას სიცილი აუტეხა. ბევრი იკისკისეს. საოხუნჯოდ გახადეს ეს შემთხვევა და შემდეგშიც ბევრს იცინებდნენ ხოლმე მის მოგონებაზე.

მოძღვართუხუცესი ნასიამოვნები და კმაყოფილი წავიდა ამ საფუძვლიან და კეთილგანწყობილ ოჯახიდან. წასვლისას იაკობ მღვდელმა სთხოვა თავის ძვირფას სტუმარს წინანდებურად მიელო მისგან შესაწირავი იფქლით და ღვინით, გარნა წლეულ მრჩობლად.

— რად სწუხარ, მოძღვარო, მეც საკმარისი მაქვს ღვთის მოწყალება.

— რა შეწუხება გახლავსთ?! მოვალე ვარ საწირავი გაახლოთ: კვეთის დროს მომიხსენებთ მე უღირსს.

13

— და უწოდა ადამ სახელი ცოლს თვისსა სიცოცხლე, რამეთუ იქმნა იგი დედა ყოველთა მცხოვრებელთა.

იაკობმაც სიცოცხლედ დასახა თვისი მეუღლე მართა, ვინაიდგან არა იყო იგი ბერწ, ვითარცა სარრა, არამედ მუცლად იღო და შვა ძე. გაიხარა მაშინ იაკობ და სთქვა:

— მოგვეცა კაცი ღვთისა მიერ!

უწოდა მას აბრამ და იგულვა იგი მსახურად ეკკლესიისა თვის შემდეგ. ჯერ ჭაბუკი იყო იაკობი, როცა შეეძინა მას ძე პირმშო. ღმერთმა უკურთხა იაკობს გვირგვინი მეუღლობისა და კვლავც უშობდა მას მეუღლე მისი ძეთა და ასულთა.

იაკობს უნცროსი ძმასავით წამოესწრო თავისი პირმშო შვილი აბრამი. ხელღონიერი და ჰაზრიანი პატარა მარჯვე მორბედი შეიქმნა: ცეცხლი, წყალი, ხბო თუ ცხვარი, საქონლის წყალზედ გარეკვა, გზის დაყრა, ზღვების დასუფთავება, ცხენის ძოვება, მეხრეობა, კევრი თუ ურემი, ბაღჩა თუ ბოსტანი და ყოველივე მისთვის შესაფერი სოფლური საქმე გაუკეთებელი არ დარჩებოდა აბრამს. ძალიანაც უყვარდა მიწა თუ მცენარე, პირუტყვი თუ მფრინველი, მოსწონდა მათთან ყოფნა, მათი მოვლა, ალერსი, პატრონობა, ბატკანი თუ ციკანი მისი საუკეთესო ამხანაგი იყო, ძაღლი—მისი გულითადი მეგობარი. მუშაობაში თავის ტოლ სოფლის ბიჭებს არ ჩამოუვარდებოდა, არც განირჩეოდა მათგან ჩაცმა დახურვით თუ სმა-ჭამით. მძიმე ბალღი იყო, ნელი საქმე იცოდა, მაგრამ მკვიდრი მუშაობა უყვარდა დასრულებულ დამთავრებული. საქმის ერთგულიც იყო, არასოდეს არ შეუშინდებოდა გასაკეთებელს, არც ეცრუებოდა.

— წყალობის თვალით გადმოხედა უფალმა ჩვენ სახლს და აკურთხა იგი, როცა მოგვეცა ამისთანა იმედიანი ბალღი; მიწას უხაროდა ამისთანა ერთგული მუშაკი.

ეკლესიაც უყვარდა აბრამს და მოსწონდა ღვთის—მსახურება. მუშაობაში ხომ ხარში ედგა თვის მამას და უკან დასდევდა, სამღთო მსახურების დროსაც არა ჰშორდებოდა მას გვერდიდან: საცეცხლურს უფლიდა, მდუღარებას აჰზადებდა, საკმეველს ჩაჰყრიდა, სანთელს აქრობდა—თუ ანთებდა, წინ უძღოდა მღვდელს ეკლესიაში. მალე შესძლო დავითნისა და სამოციქულოს კითხვაც საყდარში და ალტაცებაში მოჰყავნდა მლოცველნი თავის წრიალა ხმით.

— ამისთანა მსახური უხარიან ეკკლესის! სამღთო-მოქმედება და ნიჭიც შესწევს მისი აღსრულებისა. ეს განაგრძობს ჩემს შემდეგ მღვდლობას და დაიცავს ჩვენს გვარში მადლსა უფლისა ჩვენისა, ფიქრობდა კმაყოფილი მამა.

— ადამიანისათვის როცა კეთილი უნდა დალოცვილ ღმერთს, შვილს მისცემს კარგს. ყველაფერი ეხერხება ამ ბალღს: ჩვენი გლეხკაცური საქმეც, წიგნიც და გალობაც. დიაკვანია და დიაკვანი, რაღა აკლია?! ამბობდა ეკლესიაში ნასიამოვნები ხალხი.

ათი წლისა სრულდებოდა ბალღი, როდესაც ის სხვების რჩევით და თითქმის ძალდატანებით წაიყვანა იაკობ მღვდელმა ქალაქში სასწავლებლად. იაკობს თითონ არ გამოევლო სასწავლებელი და უნდოდ უყურებდა მას. გაეგო, რომ მხოლოდ რუსულს ასწავლიდნენ იქ და ვერ იცოდა, რაში გამოიყენებდა აბრამი მხოლოდ რუსულს, როდესაც მას სამღვდლოდ ამზადებდა სოფელში. დედასაც ძალიან ეძნელებოდა ბავშვი გასაგზავნად, რადგან იცოდა, რომ იქ უდიერად ეპყრობოდნენ ბავშვებს და აწამებდნენ, მწყსიდნენ მუნ კვერთხითა რკინისათა. მაინც დათანხმდნენ, მეტი გზა არ იყო. უყიდეს აბგა, წიგნები, ქაღალდი თუ საწერ კალამი, დააყენეს ერთ ნათესავ დალალ დედაკაცთან, რომელსაც ზაფხულობით ბინა იაკობ მღვდლიანთას ედგა ხოლმე და მიანებეს თავი.

დაიწყო ბავშვმა სიარული სახლიდან სასწავლებელში და სასწავლებლიდან სახლში, მაგრამ ამ ტანტალს მისთვის არაფერი მოჰქონდა; მასწავლებელს მისი დარდი არა ჰქონდა და ჯავრი, შაგირდს კიდევ მასწავლებლისა არა გაეგებოდა რა, არც ესმოდა, მწრთვნელმა რამდენჯერმე გაწკეპა ბალღი, ისიც სინიდისის დასამშვიდებლად, და მიანება თავი. გავიდა თვეები და უსაქმო ბალღმა ქუჩაში დაიწყო ყიალი. გაიცნა ტოლები და მიჰყო ხელი მათთან თამაშობას, დროს გატარებას. გავიდა წელიწადი, მოტრიალდა მეორე, აბრამი კი ვერ გასცდა თავის კლასის კარებს. დაითხოვეს.

სკოლიდან დაბრუნების შემდეგ ერთი წელიწადი დაჰყო აბრამმა სახლში. მუშაობდა წინანდებურად, თუმცა პირველ ხანებში წინანდელი უნარი ველარ გამოიჩინა სოფლურ მუშაობაში: მიწა აღარ უყვარდა წინანდებურად, ჩამწყდარიყო ზოგიერთი სიმები, რომლებიც მას აკავშირებდნენ მიწასთან და მის სინოყივრესთან წინად. ბიჭმა თითონ მოსთხოვა მამას, გაეგზავნა ის მონასტერში საეკლესიო წიგნების და წესის შესასწავლად. სრული სამი წელიწადი დაჰყო ბიჭმა მონასტერში და მისი იქ ყოფნა ნაყოფიერი გამოდგა: შეიგნო და შეითვისა სამღთო მსახურება და მისი ყოველივე წესი, ხოლო თვისი თავმდაბლობით და განუწყვეტელი შრომით თავი შეაყვარა მონასტრის მთელ კრებულს. თვით არქიელმა მიაქცია მორჩილს ყურადღება ამ მონასტერში ყოფნის დროს და გაამწესა ახალგაზრდა მის მამასთან დიაკვნად. მას აქეთ იყო, რომ აბრამ დიაკვანი გვერდში ამოუდგა თავის მამას, როგორც იმედიანი მუშა მიწისა და მორწმუნე თანამსახური ეკკლესიისა. გავიდა დრო და ისევ გამთელდა და გაება მის გულისა და მიწის შუა ის უხილავი ძაფები, რომლებიც ჩაწყდნენ მის სასწავლებელში ყოფნის დროს.

ბ. ბარნოვი.

(შემდეგი იქნება)

მელსაც ამ ლექციაში გაგვაცნობსო). ცხრის ნახევარზე ფარდა აიხადა და სცენაზე გამოჩნდა ბ. ნიკოლაძე. საზოგადოება აღტაცებით მიეგება მას. ლექტორმა ლექცია გაყო ორ ნაწილად. პირველი ნაწილი ლექტორმა შესავალს მოანდომა, რომელსაც ცოტა არ იყოს პოლემიკური ხასიათი მისცა.

ლექტორმა დაიწყო: მართალია ბევრი რამ „დაწერილა საქართველოზე, აგრეთვე ბევრი დაწერილა რუსეთ-საქართველოის სხვა და სხვა ხანებში ურთი-ერთ შორის დამოკიდებულებაზე, მაგრამ ესენი არც ერთი არ არის ჭეშმარიტ ისტორიულ კვლევა ძიებაზე დამყარებულიო, არამედ ესენი არის დაწერილი ზერელად და ყალბად ე. ი. ისე, როგორც მათ ავტორებს მოუხდებოდათო. ლექტორი შეეხო რუსეთისა და საქართველოს გამოჩენილ მწერალ-პუბლიცისტებს, განსაკუთრებით სასტიკად მოეპყრა ჩვენს ახალგაზრდა მწერლებს (რაღაც მოსაზრებით კი გვარები არ დაუსახელებია). ჩვენში არიან ისეთნი, რომელთაც „წარსული" ეზიზღებათ და არიან, რომლებიც, მხოლოდ და მხოლოდ „დამოუკიდებლობის" დაკარგვას სტირიანო და ასეთებზედ მსჯელობა შეუძლიათ მხოლოდ იმათ, ვისაც წარსულზე არავითარი წარმოდგენა არ აქვსო.

მე, სთქვა ლექტორმა—ჩემს ლექციას ვამყარებ არა ზერელე მოსაზრებებზე, არამედ ჩემი მეთოდი არის ისტორიულ კვლევა ძიებაზე აგებული. ჩემს ლექციაში უმთავრესად ვხელმძღვანელობ გამოჩენილ მკვლევარის ბელოკუროვის წიგნით, რომელიც მე საუკეთესო და უტყუარ წყაროდ მიმაჩნიაო.

ლექციის მეორე ნაწილში ლექტორი დაგვპირდა ისეთი დოკუმენტების გაცნობას რუსეთ-საქართველოს განწყობილებიდგან მეთექვსმეტე საუკუნეში, რომლებიც ჯერ არ გვსმენია. რა საკვირველია საზოგადოება დიდი სიამოვნებით მოელოდა ამ ახალ წყაროების გაცნობას.

შეუდგა ბ. ნიკოლაძე ლექციის მეორე ნაწილს. დაიწყო კითხვა სხვა და სხვა დოკუმენტებისა და ტრაქტატებისა—რუსეთის მეფეთა იოანე მესამის, იოანე მეოთხის (მრისხანე), ბორის გოდუნოვისა და საქართველოს ალექსანდრე პირველის და ალექსანდრე მეორის დროების ურთი-ერთ შორის დამოკიდებულებაზე, რომელსაც ორი საათი მოანდომა და რომლებიდანაც გამოჩნდა, რომ ჩვენი მეფეები თავიანთი დესპანების პირით თავის ერთ მორწმუნე რუსეთის მეფეთა სთხოვდნენ შემწეობას მუსულმანთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამ დოკუმენტებიდან ცხადად სჩანსო, სთქვა ლექტორმა, რომ უსაბუთოა ჩვენი თანამედროვე მწერლების აზრი იმაზე, თითქოს რუსეთის მთავრობას ჩვენი დიპლომატები მოეტყუებინოს და ძალით წაერთმიოს ჩვენი დამოუკიდებლობაო. ეს საბუთები ნათლად გვიმტკიცებენ იმას, რომ ჩვენ ძველთაგანვე გვყოლია გენიოსი დიპლომატები, რომელთაც კარგად გაითვალისწინეს, თუ რა მოელოდა მუსულმანთა წინააღმდეგ ბრძოლაში მარტოთ-მარტო დარჩენილს მართლმადიდებელ საქართველოს და რომ ის მთლად არ დაღუპულიყო რუსეთს და ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოებში გაგზავნილ იქნენ დესპანები, როგორც საბა სულხან ორბელიანი და სხვებიც. რომელთაც უნდა შეეტყოთ, თუ რომელი სახელმწიფოდგან უნდა გვქონოდა იმედი შველისა და რომელთან უფრო ხელსაყრელი იყო დამოკიდებულება დაგვეჭირა. დესპანებმა შემოიარეს რა მთელი ევროპა, ერთად-ერთ იმედად მოსკოვის სამეფო აღმოაჩინესო და ამიტომაც იყო, რომ ჩვენ შორს გამჭვრეტი დიპლომატები რუსეთის მეფეებს აღარ შორდებოდნენ და სულ იმას ემუდარებოდნენ, რომ გაეწიათ მზრუნველობაო. და ყველა ამის შემდეგ თუ მოხდა რუსეთ-საქართველოს შეერთება, ასეც უნდა მომხდარიყოო. ეს არ ყოფილა მოულოდნელი შემთხვევა, არამედ ეს აუცილებელი იყო არსებობის შენარჩუნებისათვის. დღეს-კიო დაიბოლოვა. ნიკოლაძემ, ჩვენი გზა ერთია რუსეთთანო.—ჩვენ შედუღებული ვართ და ერთ მთელს წარმოვადგენთო. ჩვენ გასაყოფი არაფერი გვაქვს და არც სასურველიაო... ყველა ამით რა სთქვა ბ. ნიკოლაძემ ახალი, არ ვიცი. ეს კია, რომ ლექცია ძალზედ გაგრძელდა—თითქმის ოთხი საათი. მსმენელები „ნახევარზე მეტი ძილმა შეიპყრო. ვისაც აინტერესებდა იმათთვინაც კი ძიუწდომელი იყო. მიზეზი ის არის, რომ ლექცია იქმნა წაკითხული რუსულ ენაზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჯერი მიდგა დოკუმენტებისა და ტრაქტატების კითხვაზე, რომელიც არის დაწერილი ძველ რუსულ ენაზე. კადნიერებაში ნუ ჩამოგვართმევენ და ბ. ნიკოლაძე ვერ არის კარგი—როგორც ლექტორი-ორატორი.

ბ. ნიკოლაძე დაგვპირდა: მომავალში მთელ რიგ ლექციებისას: ეპიზოდი რუსეთისა და სამეგრელოს განწყობილებიდგან, აგრეთვე იმერეთზე ალექსანდრე მეფის დროიდგან, რუსეთთან საქართველოს შერთების უკანასკნელ ხანაზე და სხვა, რომელიც დიდად სასიამოვნოა, მით უმეტეს ჩვენთვის-ფოთელებისთვის, ვინაიდგან მოკლებულნი ვართ ამგვარ გართობებს.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების კამგეობა, რომლის სასარგებლოთაც ბ. ნიკოლაძე შრომას არ იზარებს, იზრუნებს ლექციების ქართულ ენაზე მოწყობას და მით საშუალებას მისცემს ფართო საზოგადოებას მათის მოსმენისას. აგრეთვე საჭიროა აუცილებლად ფასები დაკლებული იქმნას.

ლექცია დასრულდა ლამის თორმეტ საათზე. **ჭრიჭინა.**

მოწერილი ამბები

დ. ჭიათურა. დაღამდება თუ არა ადგილობრივი ვაჭრებ ნოქრები, მუშები, და ზოგი ერთი ინტელიგენტიც მიეშურება ჩქარის ნაბიჯით. ახლა არ იკითხავთ სად?—სად და ცირკში! დიახ, სწორედ ეს აკლდა ჭიათურას და ახლაც ესეც შეიძინა. ადგილობრივი ხალხი, ცირკსა და ჭიდაობას უფრო ეტანება გიდრე, რომელიმე მართლა კულტურულ დაწესებულებას, მაგალ. თეატრს და სხვას. იმდენად დანაშაულად არ უნდა ჩაითვალოს მათი ასეთი ქცევა, როგორადაც ადგილობრივი ზოგი ერთი სცენის მოყვარეებისა, რომლებსაც მიუტოვებიათ სცენა და ყოველ ღამე ცირკში არიან ამას მაგიერად, რომ ხალხს თეატრის სიყვარული ჩაუნერგონ გულში, ისინი პირიქით, სიძულვილს უნერგავენ.

წასულ კვირეებში, მოხდა შავი ქვის მრეწველთა სტიპენდიების განმაწილებელ კომისიის კრება. კრების დადგენილებით. მადლიერს ბევრს ვერა ნახავთ. ზოგი დაცინვითაც კი იხსენიებს მათ მოქმედებას და ამბობს: კომისიას ბნ წევრთ ვიდრე დისწულები და ცოლის ძმები არ გამოელევათ, მანამდე ნამდვილ გაჭირვებულ მოსწავლეს არა ეშველებათარაო, ღმერთმა უწყის.

მლაშელი.

დ. ხონი. 25 სექტემბერს საღამოს 7 საათზე მოხდა კრება ინტელიგენციისა ადგილობრივ სამკითხველოში. კრების მიზანი იყო კლუბის დარსების შესახებ მოლაპარაკება. კრებას დაესწრო 20—25 ინტელიგენტი. პრინციპიალურად წინააღმდეგი კლუბის დაარსებისა არვინ აღმოჩნდა. ამ რიგად, კლუბის საჭიროება ერთხმად იქმნა აღიარებული კრებაზე დამსწრე ინტელიგენტების მიერ. ილაპარაკეს აგრეთვე მომავალ კლუბის მომავალ ხარჯთ-აღრიცხვაზე. დახლოვებით გასავალი კლუბსა 600 მანათი ექმნება. ეყოლება უსათუოდ 50 წევრი მაინც. ეს წევრები ვალდებული იქმნებიან გადაიხადონ წლიურად თვითეულმა თითო თუმანი. კლუბის ბინად უნდა დაიქირაონ ისეთი შენობა, სადაც იქნება ოთხი ოთახი და ერთი დიდი დარბაზი. კრების დასასრულ აირჩიეს 3 კაცისაგან შემდგარი კომისია. კომისიას დაავალეს შედგენა კლუბის წესდებისა და ნებართვის აღება.

ბევრი ილაპარაკეს კლუბის მნიშვნელობის შესახებ, ბევრ რამესაც დაგვპირდნენ. რამე სარგებლობა მოიტანს. ლაპარაკობდა, მაგალითად, კლუბის წყალობით გავმართავთ სალიტერატურო საღამოებს, კონცერტებს, სცენისმოყვარეთა საღამოებს, ლექციებსათ და სხვა. მაგრამ ჩემის აზრით ყოველივე ეს ცარიელი სიტყვებია. თუ კი ყოველივე ეს ცარიელი სიტყვებია. თუ კი ყოველივე ამის გამართვა უნდათ, დღეს ვინა უშლის ხელს, გამართონ. კლუბი მხოლოდ და მხოლოდ კარტ-ნარდის სათამაშო დაწესებულებად გადაიქცევა. და სხვა არაფერი ხეირი არ მოგვეცემა. კრებაზე ლაპარაკი რუსულ ენაზე იყო რუსულ ენაზე იყო მხოლოდ იმის გამო რომ კრებაზე ერთი რუსი ბრძანდებოდა. კრებაზე იყვნენ ისეთი ქართველები, რომლებმაც რუსული ენა არ იცოდნენ. „წმინდა ბერი წმინდად წაწყდაო", რომ იტყვიან სწორედ ჩვენზეა ნათქვამი.

იბერი

უცხოეთი

მოულოდნელი ლოკაუტი.

ჰამბურგში დიდი გაფიცვაა გემთა სამშენებლო ქარხნებში. გაფიცულებს კრება ჰქონდათ და, რადგანაც მექარხნეები მუშათა მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებენ, კრებამ (9000 კაცი) დაადგინა კვლავ განაგრძოს გაფიცვა.

ასეთ დადგენილებას მექარხნეების შეთქმულება მოჰყვა. მათ გადასწყვიტეს: მთლად შეაჩერონ მუშაობა და ყველა მუშები დაითხოვონ. თუ მექარხნეებმა თავისი გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანეს 400,000 მუშა უმუშაოდ დარჩება.

მიუხედავად ასეთის ლოკაუტისა, მუშათა ორგანიზაციებმა ბეჯითად გადასწყვიტეს გაფიცვა არ შესწყვიტონ, მით უმეტეს, რომ საერთო კასაში ჯერ საკმაო ფული ჰქონიათ. ხოლო როდესაც ეს თანხა დაილევა, მაშინ გერმანიის მუშათა ორგანიზაციები გაფიცულებს დაეხმარებიან.

ყაჩაღთა ბელადი მღვდელი.

ნიცცაში საზღაპრო ამბავი ირკვევა. დააპატიმრეს და პასუხის-გებაში მისცეს მღვდელი (აბბატი) ესპერი. მას აბრალებენ, რომ ოთხი წლის განმავლობაში ყაჩაღთა ბრბოს მეთაურობდა და შიშის ზარსა სცემდა ნიცცის არე-მარეს. მღვდელი გამომძიებელთან იყო მთელი დღე. ყველა კითხვაზე მშვიდად და წყნარად უპასუხებს. ვექილი არ მოითხოვა, ჩინებული მჭერმეტყველი და განათლებული კაცია. მთელი ნიცცა გაოცებულია, თუ რამ აიძულა ეს მშვიდი, განათლებული და ქონებრივად უზრუნველ ყოფილი კაცი, რომ ყაჩაღობა დაეწყო.

ჯერ საქმე არ დასრულებულა.

მოსალოდნელი ომი.

საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის საქმე მწვავდება. ფრანგული გაზეთი „ტემპსი" ამბობს:

„ომისა თუ მშვიდობიანობის საკითხი ოსმალეთის მთავრობაზე კი არაა დამოკიდებული, არამედ ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტებზეო. ახალგაზრდა ოსმალეთის შოვინისტები სცდილობენ თესალია ხელში ჩაიგდონ და ამისთვის მარჯვე დროს ელიან.

საბერძნეთიც საგონებელშია და დღე დღეზე ელის, რომ ოსმალეთის ჯარი თესალიის საზღვრებს გადალახავს და ფიცხელ მზადებაშია.

როგორც ათინის გაზეთები იუწყებიან, საბერძნეთს მხარს აძლევს ინგლისი, რადგანაც მას ოსმალეთის დასუსტება სურს.

ამბობენ: ვითომც სამხედრო მინისტრს ცორბას პროვინციაში წინანდელ სამხედრო კავშირის" წევრები დაგზავნოს რომ ჯარში მომხრეები იშოვნონ, იარაღის ძალით მეფე ტახტიდან ჩამოაგდონ და ეროვნული კრება გარეკონ.

კიეველი პროფესორები პროფ. ერლიხის „606"-ის შესახებ

(ინტერვიუ. საკ. კორესპონდენტისაგან).

კიევის უნივერსიტეტის პროფესორი მ. ლაპინსკი ამ დღეებში დაბრუნდა ბერლინიდან, სადაც ის პრეპარატ „606"-ს ეცნობოდა ბერლინის საუკეთესო კლინიკებში. ერლიხის პრეპარატით ბერლინის კლინიკებში სხვა და სხვა ავადმყოფობათა რჩენის შესახებ პროფესორმა შემდეგი გადმოგვცა:

— ერლიხის პრეპარატით ათაშანგის წამლობაში გასაოცარი შემთხვევები ვნახე: ახალი საშუალება ათაშანგის წინააღმდეგ ძლიერად და ენერგიულად მოქმედობს და სრულიად უიმედო ავადმყოფებს სამუდამოდ არჩენს. პროფ. ვეკსელმანის განყოფილებაში მოვიდა ავადმყოფი, რომელსაც ტანი სულ მოფენილი ჰქონდა ათაშანგის მუწუკებით, კანის ქსოვილები სულ დახეთქილი იყო, ორმოცდა ათს ადგილზედ მუშტის ოდენა იარები ასხდა. ექვსი წლის განმავლობაში სწამლობდნენ თურმე მას ვერცხლის წყლითა, როგორც ტანში შეშხაპუნებით, ისე დაზელვით, მაგრამ არაფერმა არგო. ავადმყოფი სრულიად ჩამომხმარიყო, ილუპებოდა. შეუშხაპუნეს „606" და ორი კვირის შემდეგ ყველა იარები მიუშრა. მეორე ავადმყოფსაც ჰქონდა აგრეთვე ქსოვილების დალპობა, რაც თვით სქესობრივ ორგანოებზედაც კი გადასულიყო. 5 წელიწადი ავადმყოფობდა. ყოველ გვარი საშუალება ეხმარა და არაფერს არ ერგო. პროფ. ვეკსელმანმა სამი თვის განმავლობაში სამჯერ შეუშხაპუნა „606" 0,25 გრ. და ავადმყოფი გასაღდა. ბერლინელ სპეციალისტების აზრით, საჭიროა ბევრჯელ შეშხაპუნება პატარა-პატარა დოზებით. ეს საჭიროა სახელდობრ გაგრძელებულ ქრონიკულ შემთხვევებში, ამასთანავე პირველი შეშხაპუნება წამლისა საჭიროა სპიროხეტების დასახოცად, რომლებიც თავისუფლად დასცურავენ სისხლსა და ქსოვილებში; შემდეგი შეშხაპუნებანი არბილებენ კაპსულებს, რომლებსაც სპერილები იმყოფებიან და ბოლოს ხოცავენ კიდეც ამ უკანასკნელთ.

— ბერლინის კლინიკებში რეციდივები, ავადმყოფობის განმეორებითი შემთხვევები, იყო თუ არა?

— საკითხი რეციდივის შესახებ ჯერ გადაუწყვეტელია. როგორც სჩანს ეგ დამოკიდებულია წამლის დოზიდგან, თუ რამდენი შეჰყავთ სხეულში. თუ დოზა პატარაა, შეიძლება ავადმყოფობის მოვლენათა გამეორების მოველოდეთ. თუმცა დიდი დოზაც საშიშია, შხამია, და ყოველთვის არ შეიძლება მისი მიცემა. პროფ. ვეკსელმანმა მაჩვენა ერთი ავადმყოფი, 22 წლის ახალგაზრდა კაცი, რომელსაც „606"-ის შეშხაპუნების შემდეგ სამი თვის იქით გამოაჩნდა თვალის გარსის მწვავე ანთება (острый иритъ) ათაშანგური წარმოშობისა. ამ შემთხვევას ექიმი ვეკსელმანი შინჯავს არა როგორც რეციდივს, არამედ როგორც რეზიდუალურ მოვლენას (დარჩენილ ძველს ათაშანგს), რომელიც იმიტომ მოხდა, რომ სხეულში ცოტა არსენობელზოლი და ყველა მიკროორგანიზმები ვერ დახოცა.

„ექვსას ექვსით" წამლობა არ შეიძლება ხმელი ჭლექისა (спинная сухотка) და პროგრესიული სიდამბლისა. პროფ. ოპენგეიმმა უწამლა სამს ხმელი ჭლექით ავადმყოფს და სამთავეს უარესობა შეეტყოთ, სამს პროგრესიული სიდამბლით ავადმყოფსაც დაუწყეს წამლობა ექვსას ექვსით, მაგრამ სამთავენი დაიხოცნენ. საშიშოა ამ საშუალებით წამლობა თავის ტვინის ათაშანგის დროს იმ შემთხვევაში, თუ არტერიები დაზიანებულია, რადგან შესაძლოა ისინი დასკდნენ. ეს იმის გამო მოხდება ხოლმე, რომ შეშხაპუნების დროს ადამიანი კარგა ხანი გრძნობს ხოლმე ხშირად ძლიერ მტკივნეულობას, რის გამოც ხდება უცები აწევა ძარღვებში სისხლის მოძრაობისა (рѣзкое повышеніе внутри-сосудостаго кровнаго давленія).

ამავე მიზეზით 606"-ით წამლობა არ შეიძლება ნერვებით ავადმყოფებისაც, რადგანაც ცენტრალური სანერვო სისტემის დაზიანების გამო ექვსას ექვსით წამლობა საშიშოა. ძლიერი მტკივნეულობის გამო სისხლი ძარღვებს აწვება და შეიძლება დაზიანებულ ადგილებში ე. ი. თავის ან ხერხემლის ტვინში ისინი დასკდნენ.

ეგრედ წოდებული ძილით ავადმყოფობის (tryppannosomiasis) ექვსას ექვსით წამლობამ საინტერესო შედეგები მისცა. ეს ავადმყოფობა უფრო გავრცელებულია აფრიკის ზანგებში. „ძილით ავადმყოფობით" ავადმყოფებს სპიროხეტები მხოლოდ სისხლში ჰყავთ, ქსოვილებში კი არ გადადიან, და იმიტომ იმათ სრულიად მოსარჩენად საკმარისია მხოლოდ ერთი შეშხაპუნება. ათაშანგის დროს კი სპიროხეტები გადადიან ქსოვილებშიც და იქ ისინი ეხვევიან გარსში (инкапсулируются), და ამიტომ „606" ადვილად ვერ გაატანს ხოლმე იმათთან, რის გამოც ათაშანგით ავადმყოფთათვის საჭიროა განმეორებითი შეშხაპუნებანი.

— უკანასკნელ დროს,—სთქვა ბოლოს პროფ. ლაპინსკიმ,—ბერლინის ყველა კლინიკებში სრულიად დასტოვეს ვერცხლის წყლით და სხვა ძველი საშუალებებით ათაშანგის წამლობა და ყველგან მხოლოდ „ექვსას ექვსს" ხმარობენო.

ამ ზაფხულს ივლისის ბოლოში პროფეს. ტრომშევსკის კლინიკაში 8 ჯარის კაცს ათაშანგით ავადმყოფს შეუშხაპუნა ერლიხის პრეპარატით. რვა კაციდგან სამს ეხლა გამოაჩნდა ათაშანგის რეციდივი.

ამ რეციდივის ასახსნელად ჩვენ მივმართეთ პროფ. ვ. კ. ვისოკოვიჩს. რომელმაც წამალი შეუშხაპუნა. პროფ. ვისოკოვიჩმა ახსნა წამლის მომზადების დეფექტებით, რადგან ის სხეულში არ გაუჯდა ავადმყოფს და გავლენა ვერ იქონიაო. ასევე მოხდა პირველად რამდენჯერმე სამზღვარგარედაც. მაგრამ მეორედ შეშხაპუნების შემდეგ ავადმყოფი ჩქარა რჩებოდა. იმის შესახებ, თუ რა სჯობიან, ულუფად ბევრი წამლის შეყვანა სხეულში, თუ რამდენჯერმე პატარ-პატარა დოზებით, პროფ. ვისოკოვიჩმა სთქვა, რომ ჩემის აზრით ერთხელ ბევრი წამლის შეშხაპუნება სჯობს, რადგანაც მაშინ წამალი უფრო რადიკალურად მოქმედობსო.

გ. ნამორაძე.

განცხადებანი

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—191

აგენტი
ი. გ. ხალათიანი
რეკლამებს, პუბლიკაციასა და განცხადებას

ვასრულებ ადგილობრივსა და რუსეთის სხვა ქალაქების გაზეთებსა და ჟურნალებში, ძლიერ მეღავათიანის პირობებით, **ფასის ნაწილ-ნაწილად გადახდით.** ვასრულებ აგრეთვე ყოველგვარ სტამბის საქმეს. დიდი ხნის გამოცდილება მაქვს. გთხოვთ სხვა აგენტებს არ დამადაროთ.

დროებითი ადრესი: გაზ. „Нов. рѣчь"-ის კანტორა, ტელეფ. № 20.

ყოველ დავალებას პირნათლად ვასრულებ. ყველა რეკლამებს თვითონვე ვადგენ.

დოქტ. ნავასარდიანისა
ყოველ დღე, კვირების გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.
ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

საღამოთი:

ქალ. ექ. პ ს. ზილბერმანცი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა
ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

ვ. ყიფიანის დრამა
სამეგრელოს მთავარი ლევან
ისტორიული დრამა 5 მოქმედებად
გამოცემა გაზ. „დროების" რედაქციისა და კ. მესხიევისა.
ფასი ორი აბაზი
ყიდება „სახ. გაზ." რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

მატარებლების მიმოსვლა

18 აპრილიდან 1910 [illegible]

საათები ნაჩვენებია ტფილისის დროს მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

ტფილისიდან გადის

ბათუმისკენ: N 1, სწრ.—საღ. 11 ს. 28 წ.
N 3, საფ-ს.—დღ. 1 ს. 24 წ.
N 5, სამგზ.—საღ. 7 ს. 31 წ.
ბაქოსკენ: N 2, სწრაფ.—დილ. 8 ს. 15 წ.
N 4, საფ-ს.—საღ. 10 ს. 4 წ.
N 12, სამგზ.—დღ. 2 ს. 38 წ.
ბორჯომისკენ: სამგზ.—დილ. 8 ს. 28 წ.
სამგზავ.—დღ. 3 ს. 36 წ.
ჯულფისკენ: საფოსტო—ღამ. 12 ს. 22 წ.
ერევნისკენ: სამგზავრო—დღ. 4 ს. 15 წ.

ტფილისში მოდის

ბათუმიდან: N 2, სწრ.—დილ. 7 ს. 25 წ.
N 4, საფ-ს.—საღ. 9 ს. 4 წ.
N 6, სამგზ.—დილ. 11 ს. 4 წ.
ბაქოდან: N 1, სწრფ.—საღამ. 10 ს. 36 წ.
N 3, საფოს.—დღ. 12 ს. 24 წ.
N 1. სამგზ.—დილ. 6 ს. 58 წ.
ბორჯომიდან: სამგზ.—დილ. 6 ს. 28 წ.
სამგზ.—საღამ. 8 ს. 08 წ.
ჯულფიდან: საფოსტ.—დილ. 6 ს. 8 წ.
ერევნიდან: სამგზავ.—დღის. 6 ს. 33 წ.

გამოვიდა და იყიდება ქ. შ. წ. კით. გამ. საზოგადოებისა და სხ.
◆ წიგნის მაღაზიებში ◆
დუტუ მეგრელის
ნაწერები
I წიგნი ლექსები . . 70 კაპ.
II წიგნი მოთხრობები . 70 კაპ.

ხელის-მომწერლებმა, რომელთაც ხელი მოაწერეს გაზეთ „დროების" რედაქციაში, და მეორე წიგნი ჯერ არ მიუღიათ, უნდა მიმართონ დასახელებულ წიგნის მაღაზიაში ბ. ივანე ავალიშვილს, ან პირადად ან ფოსტით ღია ბარათით ამ ადრესით:

Тифлисъ. Дворцовая, домъ Дворянства, книжный магазинъ общества грамотности, И. Авалишвили.

(10—დ-მ.—9)

ცხოველების გამჭრიახობა
პატარა ბავშვების პირველი საკითხავი დასურათებული წიგნი.
ფასი 25 კაპ.

იყიდება „ჯეჯილის" რედაქციაში: არტილერიის ქუჩა № 5, და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

ვინც ათზე მეტ წიგნს იყიდის, მათ დაეთმობათ 20 კ. (10—58—6)

◀ სამეურნეო ჟურნალი ▶
მოსავალი
წელიწადი მეორე

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეების **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უფასოდ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო წიგნს-ბროშურას მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали".

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი
„ნაკადული"
(წელიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელისმომწერლებს:

24 წიგნი მცირე წლოვანთათ **12** წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მიეცემა პრემიად საბავშვო უნივერსიტეტი (სამეცნიერო-პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის). 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი»—ზღაპარი ევალდისა; 2. «მარჯნები».—ზღაპარი ევალდისა; 3. „თორმეტი"—და ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული ასოები კუბიკებზე.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი; საზღვარ-გარეთ: წლიურად—შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. „ნაკადულის" რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურთა ქარვასლაში).

ТРЕБУЙТЕ ЧАСОВЪ
ИСКЛЮЧИ-ТЕЛЬНО
ИЗЪ ПАРИЖА

მოითხოვეთ
სწორე და მკვიდრი საათები!
ნუ გამოეკიდებით იაფ ფასიან საათებს. კარგ საათებს ყოველთვის თავისი ფასი აქვს. პარიზის ახალი რამ.

ორას მანეთიან ოქროს საათების მაგიერ გირჩევთ შეიძინოთ კაცის უხმო საათები სამი სახურავით «ს ე ც ს ი ა», რომლებიც სილამაზით და სიმკვიდრით ოქროს საათებს არ ჩამოუვარდებიან, რადგანაც 14⁰/₀ ოქრო აქვს შემოკრული. ამ საათების მექანიზმი ნამდვილი შვეიცარიულია, მუშაობს 15 ქვაზე და მეტად კარგი ხმა აქვს, დაქოქვა 40 საათში ერთხელ, უგასაღებოდ. საათები ნამდვილი ახალი ოქროსია და თავის კარგ თვისებათა გამო დაჯილდოვებულია ოქროს მედალით და სიკარგის ნიშნით". ფასი 5 მ. 25 კ. 2 ც. 10 მ. 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც გასინჯავს ამ საათებს დარწმუნდება, რომ ის 250 მან. ღირს. საათები იგზავნება წუთით წუთამდე გასწორებული 10 წლის პასუხის მგებლობით, ფას-დადებით და უბეოდ. გაგზავნა გადასახადით 60 კ. (ციმბირში 90 კ.).

ПАРИЖЪ 7 PARIS
S. Strumfeld
Rue Mirbel 2 bis.

უფასოთ ვგზავნით ახალი ოქროს მშვენიერ ძეწკვს ბრელოკით და ზამშის ბუდით. მიმართვა შეიძლება რუსულ ენაზე. დახურულ წერილზე უნდა დააკრათ 10 კ. მარკა, ხოლო ღია წერ. 4 კ. ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან ღია ბარათზე.

(Мецль N 53647). (25—15—3)

სტამბა „ხინამდლი" რუსის ქუჩა № 3
რედაქტორ-გამომცემელი ოროდიონ ხონელაშვილი